# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | პარასკევი, 17 ღვინობისთვე 1919 წ. № 224 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.





პარასკევს, 18 ღვინობისთვეს

მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით

## დედოფლის საიდუმლოება

დრამა 5 ნაწილად.

სიმფონიურ ორკესტრის მუსიკალურ ილუსტრაციით

პლეხანოვის ქუჩა, 9. სახ. უნივერსიტ. გვერდით

---

უზომოთ დამწუხრებული მასწავლებელი კორნელი პორფილეს ძე ჟულელი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ შაბათს 18 ოქტომბერს სვირის წმ. გიორგის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი მეუღლის ყოფილი მასწავლებლის

**მარიამ ნიკოლოზის ასულის**

და ერთად ერთი შვილის ქუთაისის რეალური სასწავლებლის 5 კლ. მოწაფის

**დათიკო კორნელის ძის**

**ჟ უ ლ ე ლ ე ბ ი ს**

სულის მოსახსენებლად. 2615 1—1

---

**სახელმწიფო თეატრი**

დღეს, 17 ღვინობისთვეს

**საბალეტო წარმოდგენა**

1. კოპელია — 2. პოლონური ბალი

---

**სახალხო სახლი**

(ზუბალაშვილისა)

ორშაბათს, 20 ოქტომბერს

ქართლ. სამუსიკო საზ.-ბის და საქართვ. კოოპერ. კავ.-სა

**კ ა პ ე ლ ა**

დ. არაყიშვილის ლოტბარობით გამართავს **კონცერტს**

208 2—1

---

კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის სამრევლო საბჭო აუწყებს თავის მრევლს რომ კვირას 19 ღვინობისთვეს დანიშნულია წირვის შემდეგ შუადღის 12 საათზე, ყოფილ საეკლესიო სკოლის შენობაში

**სამრევლო კრება**

განსახილველი საგნები: 1. წლის ანგარიშის მოსმენა, 2. მედავითნეს არჩევა და 3. დამატებითი წევრების არჩევა სამრევლო საბჭოში.

2599 2—1

---

1 ხარისხ. **კაფე-პარიზი** 1 ხარისხ.

დამფუძნ. კრების ქ. (ყოფ. სასახლის ქ.) ქართულ კლუბის ქვეშ.

ყოველ დღე: **საუზმე, სადილები, ვახშმები.**

სურსათი უაღრეს ღირსებისაა. კეთება მხოლოდ კარაქზე.

**სადილები** პურით 2 თავი 15 მან.

" 3 " 20 "

ყოველ დღე მზადდება აზიზი საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული. საგანგებოდ გამოწვეულია იმერეთიდან ცნობილი მზარეული. მოწყობილია ცალკე კაბინეტები წვეულებისათვის

**პროცენტები მსახურთა სასარგებლოდ არა ხდება სტუმრებს.**

რესტორანი ღამის 2 საათამდეა ღია.

პატივისცემით **ვარ. გვათუა.**

---

**ტეხნო-ქიმიური ლაბორატორია**

**„ა ლ ფ ა“**

ამით აუწყებს თავის კლიენტებს, რომ ფეხსაცმელების „მაზის“ წარმოების უფლებები გადაეცა კოოპერატივ „დახმარებას“ სთხოვს მაზის მსურველთ მაზის შესაძენად ამიერიდან მიმართონ კოოპერატივ „დახმარებას“ თავისუფლების მოედანზე თამამშევის სახლში.

207 10—3

**გამგეობა „ალფა“.**


## აზერბაიჯან სომხეთის დავა

ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ცაზედ ისევ იყრებიან ურთიერთი უთანხმოების ღრუბლები.

ის ნოტები, რომელნიც გასცვალეს ერთმანეთში აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობებმა, უაღრესი სიმწუხარით აავსებს ყველას, ვინც დაინტერესებულია მშვიდობიანობის დამყარებით ამიერ-კავკასიაში.

ჩვენ ამ ჟამათ არ ვეხებით იმ საკითხს, თუ რომელი მხარეა მართალი. აზერბაიჯან-სომხეთის დავაში, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ მას, რადგან ამ დავას და მისგან გამოწვეულ შედეგებს, ძალიან დიდი გავლენა შეუძლიანთ რომ იქონიონ სა[illegible] [illegible] თილდღეობაზედ.

ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის ინტერესები დღეს ისე არიან ერთმანეთში გადახლართული და ამ რესპუბლიკათა კეთილდღეობა ისეა დამოკიდებული ურთი ერთ მდგომარეობაზედ, რომ ყოველი რესპუბლიკა დაინტერესებული უნდა იყოს თავის მეზობლის მდგომარეობით.

საკვირველი უცნაურობით, უთანხმოებანი ამ რესპუბლიკათა შორის ხდება სწორედ მაშინ როდესაც თითქოს ნოყიერდება ნიადაგი საერთო შეთანხმებისათვის და სამივე რესპუბლიკა კონფერენციისათვის ემზადება.

საქართველო სომხეთის ომი დაიწყო სწორედ მაშინ, როდესაც კავკასიის ორივე რესპუბლიკა განმზადებული იყო თბილისის კონფერენციისათვის.

მეორე თათბირის დროისთვის, სწორედ სომხეთმა დაიწყო ჩოჩქოლი და ჰაერში ისევ ასუნთქდა საომო წყურვილი.

ესევე ხდება დღესაც: სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ ზანგეზურის საკითხმა, შესაძლოა, სისხლიანი აღსასრული მიიღოს.

ჩვენ, რასაკვირველია, მხარს ვერ დაუჭერთ იმ მიმართულებას, შესაძლებლად რომ სცნობს ყველაფერი დაუთმოს მოწინააღმდეგე მხარეს, ოღონდ საკითხი მშვიდობიანად გადასწყდეს და ამისთვის მოწინააღმდეგის დაჟინებას და მიუღებელ პრეტენზიებს, დამაკმაყოფილებლად ვერ ჩავსვლით.

—ამ მხრივ ჩვენ ვერ მოვთხოვთ აზერბაიჯანს, რომ უსათუოდ დაუთმოს სომხეთს ზანგეზური თუ იგი მის სახელმწიფოებრივობისათვის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს და მხოლოდ მისთვის, რომ სომხეთმა ამ მოთხოვნაში ცხარე ტემპერამენტი და ენერგია გამოიჩინა.

მაგრამ ჩვენ შეუწყნარებლად მიგვაჩნია აგრეთვე, ამ ტერიტორიის გამო, დღეს ომის გაჩაღება.

დღეს სწყდება ბედი სამივე რესპუბლიკის არსებობისა და არც საგარეო და არც საშინაო მდგომარეობა ჩვენი, დაწყობილი დ საბოლოოდ გამორკვეული არ არის.

არც ერთმა არ ვიცით, თუ საფრთხე ხვალ რომელი გზით მოგვადგება, ან მტერი რომელი მხარიდან ამართავს მახვილს.

ერთად ერთი და მასთან ყველაზედ უძლიერესი ძალი, ჩვენი ურთიერთი დახმარებაა და სოლიდარული გამოსვლა და თუ ეს ძალი შეგვისუსტდა, ადვილი იქნება ჩვენი დამარცხებაც.

სომხეთ—აზერბაიჯანის ერთმანეთზედ საომოდ ამართვა, იქნება ნიშანი მტრის ჩვენზედ წამოსვლის და თუ დღეს, აქ, სამივე რესპუბლიკის ნორმალურ კეთილ—მეზობლურ განწყობილების დროს, ჩვენი თვალი და ყური ყოველი წუთს მტრისკენ არის დაჭიმული, რა მოხდება მაშინ, ომის ცეცხლი თუ გაჩაღდა შინ!

ჩვენ გამოვსთქვამთ იმედს, რომ სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობანი სათანადო ანგარიშს გაუწევენ ამ გარემოებას მათ შორის მომხდარ უთანხმოების განხილვის დროს.

## დენიკინის საფრთხე

რუსეთის სახელმწიფოებრივი კრიზისი უკანასკნელ ფაზისში გადადის. ორივე მხრივ—როგორც ბოლშევიკების, ისე მოხალისეთა ფრონტი სრულიად დაიწმინდა და დღეს ერთი მეორეს დაუპირდაპირდენ უკანასკნელი გადაწყვეტილების მოლოდინში.

სამხრეთ რუსეთიდან შეკრებილი ყაზახობა და მოხალისეთა რაზმები პირისპირ მიადგნენ მოსკოვის წითელ არმიის ბუდეს—და მათი დაჯახება სასტიკი იქნება.

ბოლშევიზმი თავიდანვე დიდ მილიტარულ ძალას წარმოადგენდა. ერთ დროს ბოლშევიზმი თითქმის ფარავდა ყოფილ რუსეთის ტერიტორიას და ყველას ახირებულათ და უიმედოთ ეჩვენებოდა დენიკინის და კოლჩაკის ექსპედიცია.

შინაგანი განვითარებით, თუ მოკავშირეთა დახმარებით მოხალისეთა არმია, ისე გაიზარდა—რომ დღეს გაჩქარებული მარშით უახლოვდება მოსკოვს. და გამარჯვებით გაამაყებულ მოხალისეთ ცეცხლი და მახვილი მიაქვთ დაპყრობილ ადგილებში.

ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული დენიკინის საფრთხე.

ერთხელ ჩვენ პრესაში ინგლისელი ჟურნალისტი გვარწმუნებდა, რომ დენიკინის ხშირი ხსენებით დენიკინს მხოლოდ რეკლამას უკეთებთო. ქართული პრესსა მაინც და მაინც ხშირათ არ ახსენებდა დენიკინს, მაშინ როცა ეს ხშირი ხსენება საჭირო იყო და არის—რადგან საქართველოს ისეთი მტერი არ ყავს, როგორც მოხალისეთა არმია.

რეკლამაც და ძალაც დენიკინს რასაკვირველია ინგლისელებმა მისცეს. ჩვენ მთავრობასაც არ მიუძღვის დიდი ღვაწლი იმაში, რომ ქართველ საზოგადოებისთვის შეესმინა დენიკინის საფრთხე.

ივნისში დამფუძნებელ კრების სხდომაზე ჩვენი მინისტრები გვარწმუნებდენ, რომ დენიკინს ჩვენი გვარდიის საშუალებით სასტიკათ დავამარცხებთო—ის-ღა აკლდათ ეთქვათ „ქუდების“ საშუალებით—

ამის შემდეგ დენიკინს თუ ახსენებდენ ქართველ თავადების სახელთან და ხალხმაც დაიჯერა, რომ დენიკინი შეიძლება ისე უვნებელი იყოს, როგორც მამულებ ჩამორთმეული თავადები.

ხალხს დაავიწყდა ძველი პლასტუნებს ექსპედიციები და თავის თავს ანგარიშს არ აძლევს იმ საფრთხის გამო, რომელიც მას მოელის.

დენიკინის აგენტები კარგათ იყენებენ ამ გარემოებას და ხშირად ჩვენი ხალხი მსხვერპლი ხდება პროვოკაციისა.

არის ნიშნები კიდეც, რომ ბოლშევიზმის სახელით ხალხში აწყობენ აჯანყებებს და ახალ პროვოკაციის ქსელებს აბამენ. ზოგიერთი ცნობებით რაიონი ახალი ექსცესებისა, ახლოა დენიკინის ფრონტთან.

ამის გარდა ბათომში, ბაქოში და თვითონ თბილისშიც დენიკინის აგენტებმა თავი წამოყვეს. და გაკადნიერებულნი აღარ მალავენ თავიანთ იმედებს, რომ ერთხელ არის ბოლო მოუღონ ჩვენ რესპუბლიკას.

თვით თბილისშიც გამრავლდენ საეჭვო [illegible] და [illegible] ადგილას შეხვდებით მოდარაჯე და გახარებულ თვალებს.

ჩვენი პრესსა არ უნდა დაიღალოს დენიკინის საფრთხეზე წერით—ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს—აქამდე თუ გადარჩა უვნებელათ ჩვენი რესპუბლიკა ეს კიდევ საბოლოოთ არ არის... უდიდესი და უკანასკნელი გამოცდა—ეს მებრძოლი რუსეთის დაბრუნება იქნება. შურისძიების ცეცხლითა და მახვილითა. ჩვენმა კონსულებმა დიდიდამ პატარამდი, რომელთაც თვალები იქითკენ აქვთ, საითკენაც არ უნდა ჰქონდესთ უნდა გაამახვილონ ხედვა ამ საფრთხისკენ და ხალხსაც შეაგნებინონ იგი...

## იტალია—ამიერ-კავკასია

(იტალიელ სავაჭრო აგენტთან საუბარი)

იტალიის მთავრობის სავაჭრო აგენტი, რამდენიმე დღის წინად იტალიიდან ბათუმში და შემდეგ თბილისს ჩამოსული—Giulio Colatanni—რუსულად მშვენივრად ლაპარაკობს. მის სადარბაზო ბარათზე ოფიციალი ტიტული ასეა აღნიშნული:

„Delegato del ministero ind. e Comm“. ხოლო ნაწიბურში კი დაბეჭდილია „Batum“.

ბათუმი—ეს არის რაიონი კოლაინის მოქმედებისა, თბილისში კი ის: ჩამოსულა საერთოდ გასაცნობად. მე მარტო ვარ, განაცხადა კოლაინმა, მალე ჩამოვლენ იტალიის სავაჭრო აგენტები, რომელნიც დაბინავდებიან ბაქოსა და თბილისში. ჩვენ ვართ კომერციული წარმომადგენლები იტალიის მთავრობისა, მაგრამ არ ვართ მოხელენი, ბიუროკრატები ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით. ჩვენ მუშაობაში არა ვკმაყოფილდებით მხოლოდ ანგარიშების წერით. არა! ჩვენ ვართ მოსაქმენი პრაქტიკული მუშაკნი, ჩვენი საქმეა—გავაცხოველოთ ის კომმერციული და საქმიანი მიმდინარეობა, რომელიც აერთიანებს ამ ჟამად ევროპასა და კავკასიას, ჩვენს ტორრეტოს ბათომთან, ფოთთან და შავი ზღვის სხ. სადგურებთან.

ჩვენ გვინდა უაღრესად პრაქტიკულნი ვიყვნეთ, ჩვენს მუშაობაში ბიუროკრატიული არაფერი იქნება. ჩვენ ვიმოქმედებთ ისე, როგორც ვაჭრები, მაგრამ იმ ბოროტ მოქმედების აშორებით, რომლითაც ასე უხვობს დღეს კერძო ვაჭრული აპპარატი. ელემენტარულ სვინდისის უქონლობა, სპეკულიანტური კომბინაციები საქონელთან—ყველა ეს დამღუპველად მოქმედობს კომმერციულ საქმის სისტემაზე და შლის ვაჭრობის სწორე ორგანიზაციის ყველა პირობებს.

რად ვმუშაობთ ჩვენ, წარმომადგენლები მთავრობისა და არა კერძო ინიციატივის ძალები?

ჩვენ კარგად გვესმის, იტალიისა და კავკასიის ურთიერთი ინტერესი—ვიწრო პრაქტიკული, დღევანდელ დღის მოთხოვნილებათა საზომით. იტალიას სჭირდება ნედლი საქონელი, სჭირდება ნავთი და საზოგადოთ სათბობი მასალა.

ჩვენ მრეწველობას შეუძლიან ადგილობრივი ბაზარი აავსოს თვისი ფაბრიკატებით—მანუფაქტურით, სააფთიაქო საქონლით, ზოგიერთი მანქანებით, ავტომობილებით და სხვ. იტალიას შეუძლია მოცემა სიცილიურ გოგირდისა, რაც ასე საჭიროა კავკასიის სასოფლო-მეურნეობისათვის. ახალგაზრდა იტალია, რომლის საძირკველი დიდი ხანია რაც ჩაყრილია, რომელმაც ომის დროს მოიცვა შინაგანი ძალა, გრძნობს ამას და თავის სასიცოცხლო გზას იწყობს ფართე პერსპექტივებით.

კითხვაზე: რომელ ორგანიზაციებს შეეკვრება იტალიის მთავრობის კომმერციული სააგენტო,—ბ. კოლაინიმ უპასუხა:

—ყველასთან, ვისთანაც შესაძლებელია, ვისაც კი აქვს ფართო ინიციატივა და ვისაც აქ საქმე კარგად აქვს მოწყობილი. რასაკვირველია, ჩვენთვის სასურველია საქმე ვაქონიოთ მთავრობისა, საზოგადოებრივ ანუ კოოპერატიულ დაწესებულებასთან.

ჩვენ არ დაუხშობთ ჩვენსკენ გზას არც კერძო ვაჭრებს. ყველაფერი დამოკიდებულია ადგილობრივ სტრუქტურისაგან.

პირადად მე, განაგრძობდა ბ. კოლაინი, ძალიან გიყვარს კავკასია—მაგრამ არა მისი წარსულის ისტორიის სასწაულებით, არა მისთვის, რომ აქ არის ყაზბეგი, იალბუზი და სხ. ყველაფერი ეს მეტად საინტერესოა, მაგრამ ამით დე დასტკბნენ რომანტიკოსები და პოეტები: ჩვენ, ვიმეორებ, საქმისა და პრაქტიკის ხალხი ვართ, და კავკასია ჩვენთვის არის მიმზიდველი პრობლემა ბაზრისა და ვაჭრობისა ამჟამად, კავკასია—მსოფლიო გზაა მოკლე მომავალში! ძალიან მალე კონსტანტინოპოლი გახდება კავკასიის საქონლის უბრალო საწყობად. ჩვენ ვგრძნობთ კავკასიის დიდ მნიშვნელობას, მის მაჯისა, მის ძალას. და ახლა ათინა და თვით კონსტანტინოპოლიც უფრო მეტად არის აღმოსავლეთი სანამ ბათუმი და თბილისი. აქ—ევროპაა. როცა მე მივდივარ თბილისის ქუჩებში, როცა თვალყურს ვადევნებ ამ ცხოვრების მოძრაობას, მე ვამბობ: ეს არის—ევროპა...

(„ქ. სლ.“).

## ტრიესტ-ბათუმ-ფოთის ახალი ხაზი

იტალიის სამხედრო მისიამ ჩვენს რედაქციას შემდეგი წერილით მოჰმართა:

# უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა ჯარმა კიევი აიღო.

ბრესტში რევოლიუციონერთა დემონსტრაციები მოხდა. გაფიცულებს ჯართან შეტაკება მოუხდათ.

გომელში ებრაელთა დიდი დარბევა მოხდა.

15 ღვინობისთვეს, ბოროტმოქმედებმა აჰყარეს რკინის გზის ლიანდაგი სადგ. ნატანების მახლობლად. ამის გამო გადავარდა ჩქარი მატარებელი № 8.

გაიხსნა ახალი საორთქლმავლო ხაზი—ტრიესტ-ბათუმ-ფოთი.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ქვემოდ ხსენებული განცხადება მომითავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

## ცნობა.

იტალიის სამხედრო მისსია ამიერ-კავკასიაში, იუწყება, რომ იტალიის სამეფო მთავრობამ, რომელიც მუდამ იყო მომხრე კავკასიისა და იტალიის შორის კავშირის განმტკიცებისა, დაადგინა ახალი საორთქლმავლო ხაზი ძვილებულ სწრაფი ტორენტო-კონსტანტინოპოლ-ტრაპიზონ-ბათომის ხაზის დაცვით. ამ ხაზზედ ივლის ორი ორთქლმავალი, რომელნიც ტორენტოდან გამოდიან შაბათობით და ჩამოდიან ბათომს ერთი კვირის შემდეგ რათა კვირას უკანვე გაემართოს.

ახალ ხაზის ორთქლმავლები, რომელნიც ემსახურებიან საქონლის გაზიდვას, ივლიან ხუთშაბათის მერე ხოლო ბათუმში მეორე დღით. ფოთში ორთქლმავლები იდგებიან 16 საათი, ხოლო ბათუმში 1 ნახ. დღ. დაბრუნებისას ორთქლმავლები ფოთში იდგებიან 3 საათი. ამ ხაზის პირველი ორთქლმავალი ტრიესტიდან გამოვიდა 2 ღვინობისთვის და ბათუმს ჩამოვა პარასკევს 17 ღვინობისთვეს.

მესამე საორთქლმავლო გზა, სწრაფი მიმოსვლისა, სახელწოდებული „სწრაფი საორთქლმავლო ხაზი—ადრიატიკა—კონსტანტინოპოლი და ადესსა—დუნაი და ადესსა—ნოვოროსსისკის გზის გაგრძელებით ასრულებს პერიოდულ რეისებს ზღვით იტალიისა და კავკასიის შორის.

მისიის უფროსი მთავარ შტაბის პოლკოვნიკი ჰაბბა.

## სამგზავრო ორთქლმავალი ფოთიდან საზღვარგარეთ

[illegible] ღვინობისთვეს, დილის 8 საათზე ფოთში ჩამოვიდა იტალიური ორთქლმავალი, ყოფილი ავსტრიული კ-ის ლლოიდ, რომელიც ფოთიდან გაბრუნდება შაბათს, დილის 8 საათზე. გზად შეივლის: ვარნაში, კონსტანტინოპოლს, კონსტანცაში, ბრინდიზში და პალერმოში. ორთქლმავალის ბაგაში ნატანებში არ გაიჩხრიკაბა, საქართველოს რკინის გზის სამმართველომ, განკარგულება გასცა, რათა საგანგებო მატარებლებით იარონ ფოთიდან ნავთსადგურამ შემდეგი ფასით. I და II კლ. 8 მანეთი, ხოლო მე III კლ. 5 მან. ბაგაჟი ტარიფით.

## ბათომ-ნოტანების რკინის გზის საკითხი

**საგარეო საქმეთა მინისტრის ახალი ნოტა.**

საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა ევ. პეტრ. გეგეჭკორმა ოქტომბრის 15 შემდეგი ნოტა გაუგზავნა დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს ამიერ-კავკასიაში:

„თქვენო აღმატებულებავ. 27 ენკენისთვის მატარებლის № 46 დათვალიერების დროს ბათუმისა-და ჩაქვის ხაზზე რევიზორმა მასხულიამ აღმოაჩინა კინტრიშის რაიონის მილიციონერი ფალბასტიანი, რომ ვისაც ბილეთი არ ჰქონდა და რომელიც უკვე რამდენჯერმე იყო შენიშნული. რევიზორის წინადადებაზე რომ მას ბილეთი ან მიმოსვლის ნებართვის მოწმობა წარედგინა მან უარი თქვა, და უწყალო შეურაცყოფა და განაცხადა, რომ ის ბილეთს არ აიღებს და თავის უფროსს გარდა ის აქ არავის არ სცნობს, რომელსაც კონდუქტორს ბრძანება მიეცა რომ მილიციონერი ჩაქვის სადგურში მიეყვანა და მატარებელი „ზელიონი მისის“ ბაქანთან გაჩერდა, ფალბასტიანმა მოიხმო მოსახმარებლათ იქ მყოფი თავისი ამხანაგი მილიციონერი. ამ უკანასკნელმა მიირბინა თოფით ხელში, შევიდა ვაგონში და ორივემ დაუწყეს თოფის კონდახით ცემა. რევიზორს და კონდუქტორს.

ორივე მილიციონერი გადაეცა კინტრიშის რაიონის უფროსს. ამ უსიამოვნო ფაქტების გამო, მაქვს პატივი გთხოვოთ თქვენო აღმატებულებავ, მოახდინოთ სათანადო განკარგულება ორივე დამნაშავის სამართალი მიცემის შესახებ. რომ ამ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, სასურველი იქნებოდა რომ ინგლისელი და ქართველი მცველები დაჰყვებოდნენ მატარებლებს ბათომ-ქობულეთის-ნატანების ლიანდაგზე.

მიიღეთ და სხ. გარეშე საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.**

## ახალი თავდასხმა მატარებელზედ ნატანებთან

**ნატანები.** ნატანებიდან მიღებულია დეპეშა. დღეს 15 ოქტომბერს 18 საათსა და 50 წუთზე ბოროტ მოქმედებმა მატარებლის გაძარცვის მიზნით აყარეს რკინის გზის ლიანდაგი სადგ. ნატანების მახლობლით მე-39 ვერსზე. ამის გამო გზიდან გადავარდა ჩქარი მატარებელი № 8, ორთქლმავალი, საბარგო და სამი სახალხო ვაგონი. ორთქლმავალი და ვაგონები მცირე არის დაზიანებული. გზა გაფუჭებულია 50 საჟენის მანძილზე მატარებლის გაძარცვა ვერ მოახერხეს. მოკლულია 2 დამცველთაგანი: ახვლედიანი და სალუქვაძე სხვა დაშავებული არავინაა.

## მთავრობის წრეებში

მთავრობამ დაადგინა:

**დავრდომილთა თავშესაფარისათვის**

თბილისის დავრდომილთა თავშესაფარის მოსამსახურეთ ჯილდო მიემატოთ ღღიდან შტატების დამტკიცებისა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების თანახმად.

**ფოსტა-ტელეგ. შინაგან კორესპონდენციებზე ფასის გადიდება**

ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ტარიფის გადიდების კანონ-პროექტი განსახილველად და [illegible] როლიორსა და ფინანსთა მინისტრს გადაეცეს.

**მთავარ საბაჟოსათვის**

წითელ ჯვარს წინადადება მიეცეს რათა მან დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს თავის საწყობაა ბინებიდან გადასცეს მთავარ საბაჟოს.

**ჯამაგირების მომატება რკინის გზელებს**

რკინის გზის მუშა-შეგირდებს აგვისტოს პირველიდან ჯამაგირი მოემატოთ. სამისო დეკრეტის დამფუძნებელ კრებიში, წარდგენა დაევალოს გზათა უწყებას.

**სამგზავრო ფულის გადიდებისათვის**

დამფუძნებელ კრებას გადაეცეს პროექტი გზების ადმინისტრაციის სამგზავრო ფულის გადიდებისას ვის.

**საბრალმდებლო და საგანგ. სასამართლოთა გაერთიანება**

თბილისის საოლქო და საგანგებო სასამართლოთა საბრალმდებლო ნაწილები გაერთიანდეს და საგანგებო სასამართლოს ბრალმდებლის მოვალეობა დაევალოს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს მიხ. ტატიშვილს.

**სომეხ-ქართველთა ომში დაზარალებულთათვის.**

სომეხ ქართველთა ომში დაჭრილდახოცილთა და დაზარალებულთა ოჯახების დახმარებისთვის არსებულ კრედიტის აღდგენის შესახებ დადგენილ იქმნა: ვინაიდან კრედიტის აღდგენა შეუძლებელია სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გადაიდოს 250 მანეთი ზემო-აღნიშნულ საჭიროებისათვის.

**სამხედრო წესდების გამოსაცემად.**

გენერალურ შტაბის უფროსის განკარგულებაში 100.000 მანეთი გადაიდოს სამხედრო წესდების გამოსაცემად.

**დიდების ტაძრის ეროვნულ მუზეუმისათვის გადაკეთებისათვის**

განათლების მინისტრის განკარგულებაში გადაიდოს 26,300 მანეთი დიდების ტაძრის ეროვნულ გალერეის გადაკეთებისათვის.

**ახალ-ციხე-ახალქალაქის სკოლათათვის.**

განათლების მინისტრის განკარგულებაში 71,000-დე მანეთი ახალციხეახალქალაქის სკოლათა საჭიროებისათვის.

**ქართულ მუზეუმის შესაკეთებლად**

განათლების მინისტრის განკარგულებაში გადაიდოს 5,600,000 მანეთი ქართული მუზეუმის შესაკეთებლად.

## ბრძანება

**რესპუბლიკის ჯარების მიმართ.**

**№ 219.**

14 ოქტომბერი 1919 წ. ქ. თბილისი.

პოლკოვნიკი ინწკირველის მიერ წარმოდგენილი ქ. ონში მომხდარი ინციდენტის შესახებ კვლევა-ძიებისაგან სჩანს შემდეგი:

2 ოქტომბერს ქ. ონში ადგილობრივ ებრაელთა სკოლის ახალი შენობის კურთხევაზე იყვნენ მოწვეულნი სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, როცა მოწვეულები ისხდნენ სადილათ ებრაელთა სალოცავის ეზოში მოვიდნენ იქ მეორე ბატარეის ოფიცრები კაპიტანი გოგიტიძე და ლეიტენანტები ზედგინიძე და ქარუმიძე, რომელმაც შეურაცყოფა მიაყენეს ადგილობრივ ებრაელთა რაბინს და კომისარს; ზემოხსენებული ოფიცრები შეზარხოშებული იყვნენ და მათი ასეთი საქციელის მიზეზი ის იყო, რომ ისინი არ იყვნენ მიწვეულნი სადილათ. მათი უდიერთ საქციელმა ძლიერ ააშფოთა დამსწრე პირნი და როცა ადგილობრივმა კომისარმა დაიწყო მათი დამშვიდება, კაპიტანმა გოგიტიძემ, როგორც ამას ადასტურებენ ყველა მოწმები, დაუყვირა კომისარს, თქვენ ვინა ხართო და როცა მას აუხსნა თავის ვინაობა, ისევ უზრდელად დაუყვირა: Наплевать на Васъ როცა აღელვებულმა კომისარმა დაემუქრა ოფიცრებს თუ არ დაწყნარდებით მილიციელებ დაუძახებ და დაგიჭერთო, ერთი ოფიცერთაგანი სახელდობრ ლეიტენანტი ზედგინიძე გაეშურა ყაზარმებისაკენ, მივიდა ბატარიაში და უბრძანა ჯარისკაცებს, რომ სწრაფად მომზადებულნი იყვნენ მილიციასთან და გვარ დიელებთან საბრძოლველად, რომელთაც ვითომ და სურთ მთელი ბატარეის დატუსაღება. ჯარისკაცები თუმცა მოემზადნენ, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ აქ რალაც გაუგებრობა უნდა იყვეს, გამართეს კრება, სადაც მოიწვიეს ერობის, მილიციის და გვარდიელების წარმომადგენლები. ამ კრებაზე სავსებით გამოირკვა, რომ ლეიტენანტი ზედგენიძის განცხადება ბატარეიაში ჯარისკაცებისთვის იარაღის აყრის და დატუსა[illegible] გამოდგა, რომელიც თუ არ გათავდა დიდი უბედურებით და კატასტროფით, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჯარისკაცებმა გამოიჩინეს შესაფერი სიდინჯე და გონიერება.

გულისწყრომით უნდა აღვნიშნო, რომ ოფიცრების მხრივ ასეთი საქციელი ყოვლად დაუშვებელია, როგორც სამარცხვინო და დამამცირებელი მათი მოქალაქობრივ ღირსებისა. ასეთი ოფიცრების რესპუბლიკის ჯარში დატოვება ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ ვბრძანებ: კაპიტანი გოგიტიძე და ლეიტენანტები ზედგენიძე და ქარუმიძე ეხლავე იქმნენ გადაყენებულნი სამი ახურიდან. საქმე მათ შესახებ გადაეცეს სამხედრო ბრალდებელს მათი პასუხისგებაში მისაცემად.

სამხედრო მინისტრი **რამიშვილი.**

## ქრონიკა

**ბრძანება რესპუბლიკის ჯარებისადმი.** ამა ოქტომბრის 12-ს, ღამის 9 საათზე, ქ. სოხუმში, მეორე ქვეითა რაზმის ჯარის-კაცთა ჯგუფი 70—80 კაცამდე, ჯარის-კაცთა ტანისამოსში გადაცმული, აგიტატორთა ხელმძღვანელობით შეეცადა იარაღის საწყობის გაძარცვას. ბოლშევიკთა მიზანი იყო მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის გაჩაღება და ანარქიის გაძლიერება. ერთი თავდამსხმელთაგანი დარაჯმა მოჰკლა და რამდენიმე დასჭრა. რაზმი მთლიანად თავისი მოვალეობის ერთგული დარჩა. მიღებული ზომებით წესრიგი დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნა. გამოსვლის მონაწილეებმა ამბოხების მეთაურნი თვით გასცეს, რომელნიც შეიპყრეს და გადაეცნენ სასამართლოს მსჯავრის დასადებად. მივაქცევ რა ამ სამწუხარო გარემოებას ჯარის ნაწილთა უფროსების ყურადღებას, ვუბრძანებ მათ, მიიღონ ენერგიული ზომები, რომ ჯარში ადგილი არ ჰქონდეს გადაცმულ ბოლშევიკთა აგიტატორებს.

**ამერიკულ დამხმარე კომიტეტმა** მოხსენებით მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს თბილისელ რუს მოსახლეობის შესახებ. კომიტეტი აცნობებს რომ კარგა ხანია რაც ამერიკის კომიტეტი თბილისში ეხმარება რუსებს. უმართავს თავშესაფარებს, ურიგებს პურს და უწყობს სასადილოებს. ამ ჟამად სიების და მიხედვით კომიტეტი 9 ათას რუსს უჩენს დახმარებას კომიტეტის თანხები სწრაფად ილევა და მოკლე ხანში საჭიროა ამ საკითხის მოგვარება. კომიტეტი სთხოვს მთავრობის თავმჯდომარეს მიაქციოს ყურადღება მრავალ რუსის ოჯახს მოსახლარეს თბილისში საქართველოს სატახტო ქალაქში და იკისროს მასზე მზრუნველობა სანამ გაჭირება მოითხოვდეს ეს მომართვა გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნისთვის და თვის აზრის საცნობად.

**ტყის ჩეხა.** მიწ. მოქმ. სამინისტრომ აცნობა შინ. საქ. სამინისტროს, რომ ყარაიაზის რაიონში ს.ს. სალოღლის და შიხილის ყაზახის მაზრიდან დაბრუნებისას მომთაბარეობიდან დასახლდნენ ყარაიაზის სატყეო რაიონში და მათ მოჰყვნენ კიდევ 600 კომლი სხვა თათრები დასახლდნენ და ანადგურებენ ტყეებს ბინების ასაგებად. მიწ. მოქმ სამინისტრო სთხოვს მათ გაძევებას ამ რაიონიდან და ტყის ჩეხის მოსპობას. სამინისტრომ ეს მომართვა გაუგზავნა თბილისის სამაზრო ერობას ენერგიულ ზომების მისაღებად.

**ყაჩაღობასთან ბრძოლა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა სახალხო გვარდიის შტაბს თეთრი წყაროს სათემოში ყაჩაღობის გაძლიერების შესახებ და სთხოვა დახმარება ამ სათემოს თავმჯდომარეს ბრბოების მოსასპობად გვარდიელების გაგზავნით.

**ადმინისტრ. ინსპექტორი.** ბ. გეგელაშვილი თბილისში დაბრუნდა.

**ქართული ლატარია.** ქართული ხუთ-მილიონიანი ლატარიის ბილეთების გაყიდვის ვადა უკვე სრულდება. ლატარიის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ლატარიის გათამაშება მოაწყოს ნოემბრის 2-ს სახელმწიფო თეატრში.

**„ანნონა“.** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობას გადაეცა ყოფილ რესტორან „ანნონას“ ბინა, სადაც მწერალთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს მწერალთა კაფე მოაწყონ.

**გვთხოვენ გამოვაცხადოთ.** ამ ერთი თვის წინად, 7 წლის ანდრონიკა—ტომით სომეხი, ლტოლვილი, დახეულ ტანისამოსში ჩაცმული გავიდა დედის ბინიდან და დღემდის მისი არაფერი იციან. საწყალი დედა ალდუზა თვალცრემლიანი გთხოვთ ყველ[illegible] შესახებ შეგვატყობინოთ შემდეგის მისამართით: მე-11 კომისარიატი, ანიევის ქ, № 13, ირადიონ ჯაფარიძეს.

**საჯარო ვაჭრობა.** 1. გიორგობისთვეს, შაბათს, 12 საათზე დანიშნულია მეორედ საჯარო ვაჭრობა მიწად-მოქმედების სამინისტროს სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო მამულთა განყოფილების ბინაზედ (პეტრე დიდის ქუჩა 22) თევზის დაჭერის უფლების მიღებაზედ მდ. ხრამში და დებედა-ჩაიში. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 30 ათასი მანეთიდან და მსურველებმა უნდა შეიტანონ წერილობითი განცხადება 2 მან. სალერბო გადასახადით და 30 პროცენტი ბე იმ თანხისა, რომლიდან დაიწყობა საჯარო ვაჭრობა. დაწვრილებითი ცნობა მიიღება განყოფილების კანტორაში.

**სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია მორიგი ლექციები. 2-რე განყ. (ვერა) 1) ს. მესხი „სამშობლოს აღწერა“. 2) ეპ. ალშიბაია. „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი“. 6-სე განყ. (ერთობის უბანი) 1) ტურიაშვილის „გიგიენა“. 3) ქრ. რაჟველიშვილი „რომის ისტორიიდან“. 7-დე განყ. (საბურთალო) 1) ვ. ბარნოვი „ქართული მწერლობიდან“. 2) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“. 8-ვე განყ. (ავლაბარი) 1) გრ. ნათაძე „პირველყოფილი კულტურიდან“. 2) შალამბერიძე „ქიმიიდან“.

**გზათა დეპარტამენტის** დირექტორმა ინჟინერმა ჭიჭინაძემ „13 ოქტომბერს ინახულა ბრიტანეთის ტრანსპორტის მთავარი გამგე გენერალი ბროფი, რომელიც ამ დღეებში საბოლოოდ სტოვებს საქართველოს, და გადასცა მას სახსოვრად საქართველოს რკინის გზებისაგან მთავარ სახელოსნოებში გაკეთებული ორიგინალური საწერელი, შემდგარი რკინის გზის ტეხნიკურ მოწყობილობის ნაწილებისაგან. გენერალ ბროფმა სთხოვა დირექტორს მხურვალე მადლობის გადაცემა რკინის გზის მოსამსახურეებისათვის და აღტაცებით აღნიშნა ის გასაკვირველი მწყობრი და სწრაფი მუშაობა, რომელსაც აწარმოებდნენ და აწარმოებენ საქართველოს რკინის გზები“.

**ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ზ. ჭიჭინაძის „საქართველოს მოსპობა და ქართველი ერის გარუსება“ წიგნი ღირს სამი მანეთი.

## სტუდენტთა ცხოვრება.

**საქონელი სტუდენტთათვის.** გრძელდება სტუდენტთა სასადილოში სტუდენტთა ჩაწერა საქონლის მისაღებად.

**კაბარე-ვახშმით.** 18 ოქტომბერს (შაბათს) სახ. უნივერ. სტუდენ. კავშირის გამგეობა სტუდენტთა სასადილოში, ამავე სასადილოს ფონდის გასაძლიერებლად მართავს კაბარე-ვახშმით. მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო ძალები. მაგიდების ბილეთები წინდაწინ იყიდება სასადილოში გამგეობის წევრთან ე. პატარიძესთან და ზ. ჩიხლაძესთან.

**სტუდენტთა შუამდგომლობა.** სახ. უნივერსიტეტის სტუდ. კავშ. გამგეობამ ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა ყრილობას თხოვნით მიმართა გადასდონ სტუდ. სასადილოს ფონდის გასაძლიერებლად რამოდენიმე ათასი მანეთი, ყრილობამ თხოვნა დასკვნისათვის გადასცა გამგეობას, უკანასკნელი ამ დღეებში განიხილავს თხოვნას.

## სამხატვრო ქრონიკა

**სამუსიკო საზოგადოებაში.** სამუსიკო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ეთხოვოს ზ. ფალიაშვილს, ქ. ფოცხვერაშვილსა და ალ წუწუნავას, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა, სამუსიკო საზოგადოების კოლეგიის მუშაობაში

**ქართულ დრამატიულ ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობა.** 19 ოქტომბერს, კვირას დილის 11 ს., ქართულ კლუბის დარბაზში დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის თაოსნობით შესდგება განსაკუთრებული საქართველოში დრამატიულ ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობის გამოსარკვევად. მოწვეულნი არიან: ქართულ თეატრის თბილისში მყოფი ყველა რეჟისორნი, დრამატურგნი, დრამატიული საზოგადოების, დრამატიული სტუდიის, მსახიობთა კავშირის, სახალხო წარმოდგენების მომწყობ წრეების, მწერალთა, პრესის და სხვა კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენლები, მოწვეულია კოოპერატივთა და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრების წარმომადგენლები და სხ. მოხსენებით წარდგებიან: ბ-ნნი: ა. ფაღავა, გ. ჯაბადარი, ივ. გომართელი და გერ. ქიქოძე.

**კაპელა.** ორშაბათს, 20 ღვინობისთვეს სახალხო სახლში (ზუბალაშვილისა) გაიმართება მორიგი კონცერტი კაპელასი, დ. არაყიშვილის ლოტბარობით.

## პროვინციის ცხოვრება

**სოფ. როხი-ვარციხე.** ბოროტგანმზრახველნი სოფელ როხიდან ვარციხეს მიმავალ მგზავრებს დაჰხვდნენ და გაძარცვეს. გაიტაცეს რამდენიმე 10,000 მანეთი და მიიმალნენ.

**სოფ. ჯიხაიში.** ყაჩაღები თავს დაესხნენ სოფ. ჯიხაიშის მცხოვრებ ან. კიკაჩეიშვილს და მძიმედ დასჭრეს. კიკაჩეიშვილი მალე გარდაიცვალა.

## „დედობის და ბავშვების დაცვის დღე“.

დღეს 17 ოქტომბერს მთელ თბილისში გაიმართება „დედობის ბავშობის დაცვის დღე“. ამ საქმეს სათავეში უდგას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა თავმჯდომარის მეუღლე ი. ჟორდანია.

ომის და რევოლიუციის საშინელი ეკონომიური კრიზისი, ისე არავის არ ეხება, როგორც ოჯახობას და ლამის არის განადგურებამდე მიიყვანოს იგი. ამ საერთო არევ დარევის დროს, როცა ადამიანის ეგოისტური ინსტინქტები პირველ-ყოფილი სიმძაფრით ღვივძებენ აღარ რჩება იმედი, რომ ის აჭარებელი ობლები, რომელიც ომმა დასტოვა სამუდამოთ არ დაიღუპებიან.

სხვა ქვეყნებში, უფრო გერმანიაში ომის დროსვე დაიწყეს ფიქრი დედობის და ბავშვების დაცვის შესახებ და საქმე მიაწყვეს კიდეც ჯეროვნათ.

ჩვენში ბევრი რამ კიდევ რჩება დავიწყებული და სწორეთ დროულია ამაზე ზრუნვა.

ჩვენ გვგონია მთელი ქართული საზოგადოება განურჩევლათ კლასისა და წოდებისა ღირსეულათ შეხვდება ამ დღეს და თავის შრომას და წვლილს არ დაივიწყებს.

## სომხეთი

**ჰასკელის პირობები**

თბილისიდან იტყობინებიან, რომ აზერბაიჯანს მიუღია მთლად ის პირობები, რომლებიც წარუდგენია პოლკ. ჰასკელს საზღვრების სადავო საკითხების შესახებ სომხეთის და აზერბაიჯანის შუა მალე დაინიშნება მარულ-ნახიჩევანის ამერიკელი გუბერნატორი ერევან-ჯულფის რკინის გზაც გაიხსნება. (ჰარაჩ).

**ზანგეზურის წარმომადგენელი.**

პოლკ. ჰასკელმა დანიშნა ერთი ამერიკელი ოფიცერი თავის წარმომადგენლად ზანგეზურში. (ჰარაჩ).

**ოსმალთა შემოსვლა სომხეთში.**

პრეზიდენტ ვილსონს მოუთხოვნია რათა შეჩერდეს ოსმალების დასახლება სომხეთში. ამის გამო სტამბოლის გაზეთები სწერენ, რომ სახელმწიფოებრივ საშუალებათა უქონლობის საბაბით ოსმალეთის ლტოლვილთა გაგზავნა უნდა შეჩერდეს, მაგრამ ჩასახლება ჩუმად გრძელდება. (ჰარაჩ).

**ოსმალეთში.**

ოსმალეთიდან ყარსში გამოქცეულ ქურთების სიტყვით, ოსმალეთი სრულებით უძლურია, ქურთებს დახმარება გაუწიოს. ოსმალურ ჯარების მეოთხე კორპუსს არ ჰსურს ბრძოლა და განიარაღებული ეშურება დაბრუნდეს ოსმალეთის შუა ადგილებში. ქურთებს უნდათ შერიგებით იცხოვრონ სომხებთან, რადგან იციან, რომ სხვაფრივ დაიღუპებიან. ისინი სდევნიან ოსმალელ აგიტატორებს და ოსმალურ ჯარების ტელეგრაფის მავთულებს სჭრიან. (ჰარაჩ).

## აზერბაიჯანი

**ახალი კაბინეთი**

ახალ კაბინეთის შედგენა გრძელდება მუსსავატის პარტიის ოპპოზიციის გამო, იგი მოითხოვს შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელს თავისი პარტიის კანდიდატისთვის. პარლამენტის ყველა ფრაქციები ოპპოზიციაში ჩაუდგნენ მუსავატის პარტიას ამ საკითხში.

**პარლამენტში**

პარლამენტმა დაადასტურა 13 ღვინობისთვეს კანონპროექტი ბაქოს ქალაქის თვითმართველობის ხარჯებისთვის ათ მილიონიან სესხის მიცემა. ამ საკითხის განხილვის დროს სოციალისტური ფრაქცია წინ აღუდგა სესხს. ფრაქცია ამბობდა, რომ ქალაქის საბჭოში სხედან „ცენზიანები და დანიშნულები“ რომელთაც საქმის წაყვანა არ ძალუძთ, გადასახადს არ აწერენ ქალაქის მოსახლეობის შეძლებულ კლასებს და სხ იგინი მოითხოვენ საბჭოში ახალ არჩევნებს ქალაქის გასაჯანმრთელებლად.

**დადგენილება სატრანზიტო ტვირთისთვის**

ფინანსიურ-ეკონომიურ კომიტეტმა დაადგინა გადასახადისგან გაანთავისუფლოს ტრანზიტები სპარსეთში ყველა ქვეყნებიდან აზერბაიჯანით. ტრანზიტს სპარსეთიდან ყველა მხარეში (საქართველოს გარდა) გადასახადი წინანდელზე ასჯერ მატულობს.

## ახალი რელიგია იაპონიაში

„ბრიტანიის და უცხოელთა საბიბლიო საზოგადოების“ მდივანი კობში იუწყება, რომ იაპონიაში გაჩნდა ახალი რელიგია. ის იწოდება „სარწმუნოებად დიდებულ სულის გზაზედ“ მან პრესაში დიდი მოძრაობა გამოიწვია. ეს არის ფილოსოფიურ-მისტიური მოძღვრება, რომელიც ახდენს კეთილ გავლენას სულსა და ხორცზე. ის ესწრაფის გააერთიანოს, აიტაცოს და გარდაამეტოს ყველა დანარჩენ რელიგიებს და ფილოსოფიურ სისტემებს სისტემის პრინციპები ჩამოთვლილია 18 ტომში რელიგიის მთავარი „ბანაკი“ იმყოფება ტოკიოში. ეს ბანაკი ახდენს მსურველთა გამოცდას რელიგიის ცოდნაში და იძლევა დიპლომებს. განზრახულია სამისსიონერო მუშაობა მთელს ქვეყნიერებაზე. („ტაიმს“)

**გაბრიელ დ'ანუნციოს უკანასკნელი „ნაწარმოები“.**

**ლიონი.** 12 ღვინობისთვე. რომიდან მოსული ცნობით დ'ანუნციომ სამხედრო სარდლობა ფიუმეში გენერალ ჩეკტერინს გადასცა. ჩეკტერინი ფლორენციიდან ფიუმეში გაემართა, გამოუშვა რა წასვლის წინ მანიფესტი, რომელშიც ის აცხადებს, რომ დღეიდან იგი ველარ ემორჩილება მის მიერ მეფესთან დადებულ ფიცს.

**ლიონი.** 12 ღვინობისთვე. დ'ანუნციოს მოხალისეებმა ხელთ იგდეს სატრანსპორტო გემი „სპარსეთი“ იარაღით დატვირთული. ქალაქი დიდი სანოვაგით არის გამართული. მთავრობის ჯარების და დ'ანუნციოს შორის გამართულ მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოუტანია. მთავრობის ჯარისკაცები გარემოცულებს უძმობილდებიან.

**დ'ანუნციოს გალაშქრება ფიუმეზე.** „კორიერე დე ლასერა“-ს კორესპონდენტი 12 ღვინობისთვეს აღწერს გენერალ პიტალლუგას და დ'ანუნციოს შეხვედრას ფიუმეს ახლოს. გენერალ პიტალლუგამ განუცხადა დ'ანუნციოს, რომ მან უნდა შეასრულოს მის მიერ მიღებული ბრძანება და შეაჩეროს თავისი რაზმი მაგრამ დ'ანუნციომ უარი სთქვა ქალაქის დატოვებაზე და დილის 11 საათზე ის შევიდა ქალაქში. მცხოვრებლები ჰოეტს ყვავილების ყრით და აუწერელ ენტუზიაზმით შეეგებნენ. დ'ანუნციოს რაზმის შესვლის რამდენიმე საათის შემდეგ ეროვნულ საბჭოს აივნიდამ მისმა პრეზიდენტმა მორსიჩმა გამოაცხადა ფიუმეს შემოერთება „ხალხის უტეხი სურვილით“.

## „რუსკოე სლოვო“

„რუსკოე სლოვოს“ გამომცემელი სიტინი ამ ჟამად მოსკოვში იმყოფება. ბოლშევიკებმა მას წაართვეს 5 მილიონ მანეთის ღირებული საგაზეთო ქაღალდი. „რუს. სლ.“-ს რედაქტორი ბლაგოვი ამ ჟამად ანაპაში იმყოფება და „რუსკ. სლოვოს“ გამოცემას ადესაში მალე განაახლებს.

## რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულობა ინგლისის პალატაში

ლონდონიდან მოსული ცნობით, დეპუტატ მლინის შეკითხვაზე, მართალია თუ არა, რომ გერმანიის მთავრობისა და საბჭოთა რუსეთის შორის დადებულია საგანგებო სავაჭრო ეკონომიური ხელშეკრულობა,—საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე მდივანმა უპასუხა: „მთავრობამდე მოვიდა ხმები ასეთ ხელშეკრულობაზე, მაგრამ საამისოდ ოფიციალი ცნობები არ იპოვება. თუ ეს ცნობები დამტკიცდა, მაშინ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები პარიზში გამოიტანენ სათანადო გადაწყვეტილებებს.

## პ. სტრუვეს მოხსენება

საზღვარ გარეთიდან ახლახან დაბრუნებულ პ. სტრუვემ გ'აცა სახ. გაერთ. საბჭო დასავლეთის მდგომარეობას და დასავლეთ რუსეთთან დამოკიდებულებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დასავლეთ ევროპამ მტკიცედ და ადვილად შეითვისა თვისი შეხედულება რუსეთზე ბრესტის ზავის პრინციპების თვალსაზრისით. რუსეთის დაქსაქსვა დასავლეთის მიმდინარეობათა უმრავლესობამ გაიგო როგორც ცარიზმის დამხობა. ამისთვის შეთანხმების სახელმწიფოთა შორის, ბოლშევიზმთან ბრძოლის იდეა ვერ იწვევს მნიშვნელოვან ენტუზიაზმს. ამ ბრძოლასთან დამოკიდებულება განისაზღვრება ბოლშევიკებზე ჩვენი საკუთარი გამარჯვების ხარისხით. ამირბარ კოლჩაკის აღიარება გამოწვეულია მისი გამარჯვებით. დასავლეთს არა სჯეროდა მოხალისეთა არმია, მაგრამ როცა ეს ძალა გაიზარდა, დასავლეთმა ირწმუნა იგი საერთოდ ახლა საგულისხმოა არა დიპლომატიური მოლაპარაკებანი, არამედ ჩვენი გამარჯვება.

## დ'ანუნციო ფიუმეში

„Popolo d' Italia“ მ გამოაქვეყნა დ'ანუნციოს შემდეგი წერილი მიმართული ამ გაზეთისადმი, რომელიც შემდეგ „Matin“ მა გადაბეჭდა; „ჩემო ძვირფასო მისსოლინი—მე თავი განვიწირე და გავიმარჯვე კიდეც“.

არავის არ ძალუძს ჩემი აქედან განდევნა. მე დავიჭირე ფიუმე და ჩემს მფლობელობაში იქნება სანამ ვარ ცოცხალი. თუ იტალიელთა ნახევარი მიემხგავსებოდა ფიუმელებს, მაშინ ჩვენ შევქმნით მსოფლიოს ბატონები გავხდებოდით.

„Era Naova“ იუწყება: დ'ანუნციო შემდეგ მიმართავს ტრიესტის მოქალაქეებისადმი. „ძმებო, თქვენ უწყით ეხლა, რაც ჩავიდინეთ შთაგონებითა და ღვთის განგებით.

რამდენიმე საათის განმავლობაში, აშიშვლებული მახვილით დავიპყარ ფიუმე, და ვისაც კი არ ჰგზავნიდნენ ჩემს წინააღმდეგ, ყველა მე მიერთდებოდა.

შთაგონებისა და გმირული ატაცება მოულოდნელი იყო. თქვენი შემწეობით და ყველა ჭეშმარიტ იტალიელის დახმარებით ჩვენ განვმტკიცდებით აქ სამუდამოდ.

ფიუმე მსხვერპლად მოტანილი, ითხოვს მსხვერპლს. იყოს კურთხეული, ვინც თავის-თავს მსხვერპლად მიუტანს ფიუმეს.

გახსოვდეთ, აგრეთვე ტრიესტის ძმებო, რომ ამ ჟამად ფიუმეში იმყოფება დიდებული დროშა, განწმენდილი კაპიტოლიის წყლებში, რომელიც გამზადებულია წმ. იუსტის კოშკისთვის. (წმ. იუსტის კოშკი), შეადგენს ტრიესტის ციხე-დარბაზის ნაწილს, დროშა მიღებულ იქმნა 1918 წ. დ'ანუნციოს მიერ რომში, კაპიტოლიაში, ერთი მისი სიტყვის შემდეგ.

— დ'ანუნციოს მომხრეთა შორის იმყოფება ცნობილი პოლკოვნიკი როსსო, რომელმაც 1918 წ. ნალმოსანთა მეორე რაზმით აიღო ავსტრიელთა მთელი ესკადრა, რომელიც შესდგებოდა 30 დიდ გემისაგან და ჩალუპა 2 კრეისერი.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენ.). ღვინობისთვის 15.

## ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი.** ოქტომბრის 15. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

**სარატოვი.** ოქტომბრის 12. დენიკინის პრესაში თანდათან მოისმის ხმა იმ საშიშროებაზე, რომელიც კავკასიის მხრიდან იმუქრება მას. გაზეთი „ჩერნო მორსკი მაიაკ“-ი ამის გამო სწერს: „კავკასიაში მდგომარეობა რთულდება. სულ მოკლე ხანში დენიკინის ზურგს უკან მოსალოდნელია აჯანყდნენ ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი, რომლებსაც მწვანე-ჯართან ერთად შეუძლიათ ბოლო მოუღონ მოხალისეთა ჯარის გამარჯვებას.

**კოპენჰაგენი.** ოქტ. 12. ლიტვის ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა, პროფესორმა შიმიურმა მიიღო თანამშრომელი... (გამოტოვებულია) და საუბრის დროს განუცხადა მას, რომ პოლონეთთან დიპლომატიური დამოკიდებულება შეწყვეტილია. პოლონელებს არ სურთ საზავო კონფერენციის დადგენილების და გენერალ ფოშის ბრძანების ასრულება არღვევენ დემარკაციულ ხაზს.

**პარიზი,** ოქტომბრის 13. „სვენსკადაგბლადეტ“-ის ცნობით დვინაზე მყოფმა ლატიშთა ნაწილებმა გადასწყვიტეს მოუცადონ ესტონელების დახმარებას. ინგლისის და საფრანგეთის ესკადრის უმეტესი ნაწილი რიგის ყურეში გაემგზავრა, რიგაში საალყო წესები გამოცხადდა. პოლკოვნიკ ბერმონტის ჯარი რიგის ყურისკენ მიიწევს.

**კოპენჰაგენი.** (გაგრძელება), პოლონელების მიერ ლიტავების დევნა არ სწყდება, და ხშირად ძალდატანების ხასიათი აქვს. პოლონელებმა ძალით მოახდინეს 50,000 ლიტოველის მობილიზაცია და გაგზავნეს გალიციის და უკრაინის ფრონტზე. ვინც მობილიზაციის ბრძანებას არ დამორჩილდა იჭერენ და ციხეებში აგზავნიან. პოლონეთი ძალადობას სჩადის არა მარტო ლიტავაში, არამედ არ არის არც ერთი სახელმწიფო, რომელთანაც პოლონეთს მტრული განწყობილება არ ჰქონდეს, ყველა ეს სახელმწიფოები იძულებულნი არიან დაიცვან საზღვრები პოლონეთის ჯარისაგან რომელიც არა პოლონელებს ძლიერ ცუდათ ეპყრობიან. კითხვაზე თუ როგორ უყურებენ მოკავშირეები პოლონეთის მილიტარისტულ პოლიტიკას მინისტრმა უპასუხა: მოკავშირეებს, არა ყავთ რეალური ძალა და ამიტომ არ შეუძლიათ გავლენა იქონიოს პოლონელების დამპყრობელ ჯარებზე.

**ნაუენი.** ოქტ. 14. ბრესტში (საფრანგეთი.) ოქტ. 12 ქუჩებში შეტაკება იყო გაფიცულები წითელი დროშებით ქუჩებში დადიოდენ და იძახოდენ: „გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა მთავრობას“. დემონსტრატები ჯარის კაცებს აქეზებდენ, ნუ დაემორჩილებით უფროსებს. ჯარსა და დემონსტრატებს შორის შეტაკება მოხდა. ორივე მხარეზე ბევრია დაჭრილი. გაფიცვები რევოლიუციონური ხასიათისაა.

**ბერლინი** ოქტ. 12. რუმინიის საშკოლო ინსპექციამ დაითხოვა ბესარაბიის სკოლების ყველა მასწავლებლები, რომლებმაც რუმინიის ქვეშევრდომობა არ მიიღეს და რომელთაც რუმინელი ენა არ იცოდნენ. დათხოვნილების ადგილებზე მოდაველები დაინიშნენ. მოავრობის ყველა დაწესებულებაში და ბესარაბიის შკოლებში რუსული ენა გააუქმეს, შემოიღეს რუმინული, კიშინევში და ბესარაბიაში „ვივესკები“ მხოლოდ რუმინულ ენაზე უნდა იქნეს დაწერილი. რკინის გზებზე მხოლოდ რუმინულ ენას ხმარობენ. ბესარაბიის რუმინიზაციის გასატარებლად ყოველივე ზომები არის მიღებული.

**რიგა.** ოქტ. 12. „ფოსიშე-ცეიტუნგ“-ის ცნობით, ვენაში დაარსდა გერმანიის ჯარის მიმღები ბიურო, აქ ბიუროს ხელმძღვანელმა მიულერმა განაცხადა, რომ ბიუროს მოქმედება მიმართულია მონარქიულ არმიის მოსაწესრიგებლად. იმავ დროს მან განმარტა, რომ ის არის ერთად ერთი, მიმღები ბიურო ავსტრიისა. საზღვარზე გადასავლელად მით განსაკუთრებული პასპორტები ეძლევათ.

**გომელი,** ოქტ. 14. გაზეთი „კიევლიან“-ში დაბეჭდილია ამ წლის მოსავალის აკრების წესრიგი: იმ ადგილებში, რომელიც დენიკინს უჭირავს. მოსავლის ორი მესამედი დამმუშავებელს ერგება. დანარჩენი მემამულეს, რომელსაც წინად ეკუთვნოდა ის ადგილი.

**გომელი,** ოქტომბ. 10. „კიევსკაია ჟიზნ“-ი ფოლტავაში მომხდარ საშინელ სურათს გვიხატავს: რბევა ბოლშევიკების წასვლის შემდეგ დაიწყო. და ოთხი დღე გაგრძელდა. ებრაელების გაცარცულ სახლებს ნავთს ასხავდენ და სწვავდენ. მოკლულია 600, დამახინჯებული ბევრათ მეტია. დარბეულია 100 სახლი და 60 დუქანი.

**გომელი.** ოქტ. 9. №-ის არმიის რევ. სამ. საბჭოს წარმომადგენელმა, რომელიც ფრონტიდან დაბრუნდა, რუს. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აუწყა ჩერნიგოვის ფრონტის მდგომარეობის ამბავი: წითელი არმიელები ომში წასასვლელად მიისწრაფიან, ნაწილებში პოლიტიკური მუშაობაა, ამ რაიონში მდგომარეობა მტკიცეა.

**სარატოვი.** ოქტ 8. ცარიცინის რაიონში წითელი არმიის სულიერი განწყობილება რევოლიუციონურია. იყო შემთხვევები, როდესაც 60 კაცის ესკადრონმა მტრის მთელი პოლკები დაამარცხა.

**კოპენჰაგენი.** ოქტ. 10. გელსინგფორსიდან მოსული ცნობით ფინეთის რეიხსტაგის სენიორენკონვენტი შეიკრიბა საბჭოთა მთავრობის საზავო წინადადების განსახილველად თათრებმა ჯერ არავითარი შედეგი მოიტანა. სოციალ-დემოკრატები მოითხოვდენ ზავის შეკვრას, მაგრამ მათ წინადადებას თანაგრძნობით არ შეხვდნენ.

**პარიზი.** 15. მოკავშირეები ბერტპოლდის გაცემას მოითხოვენ.

**ჩელიაბინსკი.** ოქტ. 13. „ტობოლსკაია კომუნა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ტობოლსკის ეპისკოპოზმა განაცხადა, რომ თეთრ-გვარდიელთა ლაპარაკის გამო მთელი სამღვდელოება შიშით მოელოდა წითელ ჯარს, მაგრამ ახლა სამღვდელოებამ გამოცდილებით იცის, რომ ცნობა თითქოს ბოლშევიკები ეკლესიას და სამღვდელოებას ცუდათ ექცევიან მართალი არ არის. კოლჩაკის მთავრობა საბჭოთა მთავრობაზე ცრუ ხმებს ავრცელებდა, ნამდვილად კი თეთრები ვითომდა იცავდენ ეკლესიას, მაგრამ იქცეოდენ ბოლშევიკებზე უარესად. ეკატერინობურგში ტობოლის ოფიცრობამ ეკლესიის ღვინო გაიტაცა. ეპისკოპოზის აზრით, სიმთვრალემ ინტრიგებმა პროვოკაციამ, ძალ-დატანებამ და გლეხების იძულებითი მობილიზაციამ კოლჩაკის მთავრობა დაიღუპა.

**სარატოვი.** 12 ოქტ. „ურალსკაია პრავდას“ ცნობით, ხელში ჩაიგდეს თეთრების მიწერ-მოწერა, სადაც ისინი გაკვირვებას გამოსთქვამენ წითლების გმირობაზე. დუტოვის ოფიცრები ლაპარაკობენ, რომ წითელ-არმიელები მათ ჯარს თავზარს სცემს.

**ლიონი.** ოქტომ. 14. ხმებია, რომ იტალიაში იძულებითი სესხის არაპოპულიარობას შეუძლია მთელ იტალიაში რევოლიუციონური გავლენის მოხდენა.

**მოსკოვი,** ოქტ. 15. ოქტომბრის 15 საბჭოთა ჯარმა კიევი აიღო. ლოზუნგებს: დენიკინზე ჩვენი გამარჯვება, გამარჯვება სრული და უკანასკნელი, რომელიც იმედს გვაძლევს ბრწყინვალე მომავლისთვის. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. ფრონტზე წასულებმა და იცოდნენ, რომ მათ ზურგთ უკან ახალ ახალი ბათალიონები სდგება, რომელიც ერთსა და იმავე ფიცსა სდებს: ან გამარჯვება, ან სიკვდილი.

ამხანაგებო. სოფლებში, ქალაქებში, პროვინციებში დაირაზმეთ. უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლისათვის. გამარჯვებისაკენ. ძირს გულგრილობა, იარაღი აისხით და ბრძოლისაკენ.

**მოსკოვი,** ოქტომბრის 15. ოქტომბრის 14 საბჭოთა მთავრობა ესტონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს რადიო დეპეშა მიიღო, რომელიც იუწყება, რომ ლიტვის და ლატვიისაგან პასუხის მიღების შემდეგ მოგვივა ცნობა თუ რომელ დღეს შეიკრიბება საზავო დელეგაცია იურიევში.

ლატიშთა სოც.-დემ. პარტია ლატვიაზე რუს-გერმანელ თეთრგვარდიელთა თავდასხმის გამო ევროპის სოციალისტების მიმართ მიმართვაში სწერს: მომხდარ ამბების გამო ლატიშელთა პარლამენტმა ოქტ. 9. ერთხმად გადასწყვიტა დაიწყოს საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება ზავის შეკვრის მიზნით. შვეციის, ნორვეგიის და დანიის პრემიერ მინისტრები და საგარეო საქმეთა მინისტრები კოპენჰაგენში მოვლენ სათათბიროდ, რომ გადასწყვიტონ მოკავშირეთა მოთხოვნილება რუსეთის ბლოკადის შესახებ.

**შენიშვნა:** ნიკოლაევის რადიო სადგურმა განაცხადა, რომ დღეს მას რადიო ცნობები არ ექნება.

**მოსკოვი.** ოქტომ 15. „იზვესტია“-ში სწერია: ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენ ორიოლი დავსტოვეთ. წითელ სატახტო ქალაქსა და დენიკინის ჯარის შორის არის მხოლოდ... (გამოტოვებულია)ვერსი. მდგომარეობა სერიოზულია მდგომარეობა მძიმეა. ჩვენ ვერ დაუშვებთ, რომ მტერმა საბჭოთა რუსეთის გულში წინ წამოიწიოს. რუსეთის პროლეტარიატმა და რუსეთის გლეხობამ მთელი ძალა უნდა მოიხმაროს, რომ მეფის შავრაზმელ გენერლის თავდასხმას ბოლო მოუღოს და განდევნოს. ჩვენ მეტად მძიმე მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ამასთან ჩვენ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მრავალი მეგობრები გვყავს საბჭოთა რუსეთის გარეთ. ჩვენს გმირულ ბრძოლას თვალ-ყურს ადევნებს მთელი ქვეყნის მშრომელი მასა. საბჭოთა რუსეთი ათეთებულია როგორც ლამპარი. დამონავებულ ინდოეთისთვის, დაჩაგრულ სპარსეთისთვის და შორეულ აღმოსავლეთის მშრომელთათვის, საბჭოთა მთავრობას სიყვარულით უყურებს ინგლისის, ამერიკის, იტალიის და საფრანგეთის პროლეტარიატი. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ საერთაშორისო მუშათა საქმისთვის და მთელი ქვეყნის რევოლიუციის საზეიმოდ. ჩვენი უკანასკნელი სამხედრო მოქმედება მძიმეა, მაგრამ ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ შესაფერი სიმტკიცე. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობა გაიმარჯვებს, მაგრამ ამისთვის საჭიროა მთელი ძალის შეკავშირება, რათა დავამხოთ მემამულეთა და ბურჟუაზიის ნაფიქრი საქმე. დავლეწოთ ის ბორკილები რომლებიც მეფის გენერლებმა დაგვადევს, განვდევნოთ დენიკინი წითელი სატახტო ქალაქიდან.

**მცენხკი,** ოქტ. 13. ხარკოვის გაზეთი „იეჩერნ. ვრემია“, იუწყება, რომ იაპონიის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ოსაკეში განაცხადა: „იაპონია მიისწრაფვის უზრუნველჰყოს აღმოსავლეთში მისი განუსაზღვრელ გაფართოვების აღიარება ამერიკის მხრით. იაპონია მოითხოვს რომ მთელმა ქვეყანამ აღიაროს ციმბირში, ჩინეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მისი სავაჭრო ნავთსადგური. ციმბირს და მანჯურიას ის უყურებს როგორც საუკეთესო ბაზარს თავის მრეწველობისთვის და როგორც დაუმუშავებელ საქონლის წყაროს. თუმცა იაპონია ციმბირში იმპერიალისტურ გეგმას არ ისახავს, მაგრამ უნდა აღიარებულ იქნეს, რომ მის საწინააღმდეგოდ არაფერი აქვს, შემოიერთოს ციმბირის ნაწილი, რომელიც მის მეზობლად არის. გაანვითაროს და იაპონიის დროშის ქვეშ შექმნას იაპონიის ზედმეტი მცხოვრებთათვის ადგილი.

**ხერსონი** ოქტ 13. ხმებია, სერ ჯორჯ კლერკმა უმაღლეს საბჭოს აუწყა, რომ რუმინელები დასტოვებენ ბუდაპეშტს, თუ საზავო კონფერენცია დათანხმდება, უნგრეთში ხელში ჩაგდებული ქონებაზე მათ უფლება აღიაროს.

**ხერსონი,** ოქტ. 13. გერმანია არ კისრულობს ფონ-დერ-ჰოლცის რიგაზე თავდასხმის პასუხის მგებლობას, მაგრამ ფოშმა გაუგზავნა ულტიმატუმი რომელშიაც ემუქრება, რომ თუ ბალტიიდან ჯარს არ გამოიყვანენ, ბალტიის ზღვაში გერმანიის გემებს სეკვესტრს უზამენ და ბლოკადას აღადგენენ.

**სამხედრო ცნობა.** პოვენეცის ყურეში ჩვენი დესანტის წინსვლა მარჯვედ ვითარდება. მურმანსკისკენ ჩვენმა ჯარმა მდ. ლოუმის ჩრდილოეთით 20 ვერსით წინ წაიწია.

## გერმანული პრესა

**ბალტიის ზღვის ბლოკადა.**

კიევიდან და დანციგიდან იუწყებიან, რომ ბალტიის ზღვის ბლოკადა ეკონომიურ ცხოვრებაში დიდ დაბრკოლებას ჰქმნის. კილი მიუწყვეტლივ როგორც კუნძულებს, ისე სხვა ნავთსადგურებს. დანციგში მოელოდნენ დიდძალს ქვანახშირსა და თევზს, რაც ბლოკადის გამო ვეღარ მოვა. მრავალი გემი ვერ დაბრუნდა, რადგან მათზე რადიო-ტელეგრაფი არ იყო, და ამიტომ ვერ შეატყობინეს ბლოკადის გამოცხადება.

**ტყვე გერმანელები.**

პოლონელებმა ტყვე გერმანელების სამშობლოში გზავნა დაიწყეს.

**კლემანსოს სიტყვა.**

სენატში კლემანსომ განაცხადა, რომ საფრანგეთი უნდა ეცადოს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს რეინის მარცხენა მხარის მცხოვრებლებთან და დაიცვას იგი პრუსიის დესპოტიზმისაგან. „ფორვერტს“-ი ურჩევს კლემანსოს, რეინის მხარე თავდაპირველად მოკავშირეთა დესპოტიზმისაგან დაიხსნას.

**პრიბალტიკის ამბებისთვის.**

„ტან“-ი და პარიზის სხვა გაზეთები ურჩევენ (?) მაინის ფრანკფურტი დაიპყრონ მოკავშირეთა მისწრაფების მისაღწევად ბალტიის მხარეში. გერმანული გაზეთები ამბობენ: „საფრანგეთს ალბად განზრახული აქვს ზავის შეკვრის შემდეგაც განაგრძოს თავისი პოლიტიკა და ძალა იხმაროს გერმანიაზე.

**„ბალტიის“ და „ანტი-სოვეტური“ ნოტები.**

გერმანულმა პრესამ გამოაქვეყნა მოკავშირეთა ორი ნოტა, რომელთაც „ფორვერტს“-ი უწოდებს „ბალტიის ნოტა“-ს და „საბჭოთა საწინააღმდეგო ნოტა“-ს და აღნიშნავს ზოგიერთ წინააღმდეგობას. „ფორვერტს“-ი ამბობს, რომ ლაპარაკი საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ ბრძოლის, გერმანიის საწინააღმდეგო ბლოკადის და საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ მებრძოლ გერმანულ ჯარების შესახებაა. ვის შეუძლია გაერკვიოს ამაში. „დოიტჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-ი აღნიშნავს, რომ ის ნოტა რომელიც ბალტიაში შექმნილ მდგომარეობას შეეხება, სავსებით ეთანხმება გერმანიის მისწრაფებას. საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო ნოტის შესახებ გაზეთები კითხულობენ, გერმანიამ მხარი უნდა დაუჭიროს ბლოკადას თუ არა. ზემოხსენებული გაზეთი ამბობს, რომ ეს ცნობა ხალხთა ლიგისადმი ერთგვარი მიმართვაა, და შემდეგ კითხულობს, ნამდვილად ბლოკადას შეუძლია კი ბოლშევიკების ბატონობის მოსპობა. ყოველ შემთხვევაში გერმანიამ უნდა განაცხადოს რუსეთის წინააღმდეგ ბლოკადაში მონაწილეობაზე.

დემოკრატიულ პარტიის გაზეთები ფიქრობენ, რომ გერმანიამ არავითარი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს, სანამ არ გამოირკვევა ამ საკითხისადმი ნეიტრალურ სახელმწიფოების დამოკიდებულება“. ფოსიშე ცეიტუნგ“-ი ეკითხება მოკავშირეებს, თუ რა გარანტიის მიცემა შეუძლიათ მათ რუსეთისადმი განზრახვების შესახებ. გერმანიის ერი მზად იყო რუსეთს ყოველ მხრივ დახმარებოდა, მაგრამ უარს აცხადებს ხელის გაწოდებაზე და ავტოკრატიის აღდგენას ფიქრობს. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი თხოულობს გულახდილად იქნეს განმარტებული ის პოლიტიკა, რომლის წარმოებაც შეუძლიათ მოკავშირეებს და გერმანიას საერთო კეთილდღეობის მიზნით.

**ელზას-ლორენის სკოლებში.**

საფრანგეთის ადმინისტრაცია სტრასბურგში უფრო მკაცრი გახდა. რელიგიის და ენის შესახებ მოთხოვნილებების გამო. განკარგულება გაიცა, რომ ელზას-ლორენის დაწყებით სკოლებში სალვთო სჯულის სწავლება გერმანულ ენაზე უნდა სწარმოებდეს. გერმანულ ენისთვის კვირაში 7 გაკვეთილია დაწესებული.

**გერმანული ძროხები.**

გერმანიის პრესაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა—„მანჩესტერ გარდიან“-ის წერილმა იმის შესახებ, რომ გერმანიამ საფრანგეთს ძროხები და თხები უნდა მისცეს. გაზეთი სწერს, რომ ეხლა უფრო მეტი ნაკლებობა არის რძისა, რის გამოც ბავშვები უფრო მეტი იხოცება. ამიტომ თუ ეხლა მოკავშირეებს ოთხფეხი საქონელი გადასცა. ბავშვთა შორის სიკვდილი უფრო გაძლიერდება. გერმანული გაზეთები ეთანხმებიან „მანჩესტერ-გარდიან“-ს, რომ ავსტრალიასა და ამერიკიდან შეიძლება საჭირო რიცხვის ოთხფეხ საქონლის გამოზიდვა საფრანგეთისა და ბელგიისთვის.

**საფრანგეთის მუშათა კონგრესისთვის.**

დანიის ტრედუნიონებმა განაცხადეს, რომ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ მონაწილეობას ვაშინგტონის საერთაშორისო შრომის კონგრესზე, თუ გერმანიის და ავსტრიის მუშები სხვა ქვეყნების მუშებთან თანაბარ უფლებებით მიიღებენ მონაწილეობას, რადგან არ შეიძლება, რომ გერმანიის და ავსტრიის მუშებმა იქამდის, ვიდრე კონგრესი მათ ნებას დართავს მონაწილეობა მიიღონ.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ურალსკის რაიონში კენდელინსკთან, ურალსკის აღმოსავლეთით 100 ვერსზე მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. ტობოლზე კურგანის რაიონში ორივე მხრივ მზვერავთა ენერგიული მოქმედებაა კურგანის სამხრეთით მტრის აეროპლანები დაფრინავს. იშიმის რკინის გზის ორივე მხარეზე იალუტოროვის რაიონში ადგილობრივ მნიშვნელობის ბრძოლებია.

## წერილი რედ. ძიმართ

დამფუძნებელ კრების უკანასკნელ სხდომაზე, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის შეკითხვა ირჩეოდა ხონის დეპუტატების დაპატიმრების შესახებ, ხონის ქალაქის ყოფილმა თავმა, ივანე ჭავჭანიძემ, რომელმაც მინისტრის თანაშემწის განმარტებას მხარი დაუჭირა და მისგან მიღებული ზომები მოიწონა, სხვათა შორის თქვა ხონის დეპუტატების დასახასიათებლად: „ლუკა ბახტაძე! ვის გაუგონია ლუკა ბახტაძის საზოგადო მოღვაწეობა, მას საკუთარი საქმე ჰქონდა, საეკლესიო ადგილი, რომელიც ნიკოლოზ მეფემ აჩუქა მამა მისს, ჩამოვართვით, აი ამისთვის გაერია დეპუტაციაში, რომ ხონის ქალაქის თვითმართველობა მოისპო და სახლი შეენარჩუნებია“ და მეტის სიამოვნებით კათედრაზე შეითამაშა და ჩაიცინა. რადგან იქ, სადაც ეგ სიტყვები იყო ნათქვამი, მე არ შემეძლო პასუხის გაცემა, ამისთვის უმორჩილესად ვთხოვ პატივცემულ რედაქციას, მომცეს საშუალება ვამცნო ივ. ჭავჭანიძეს გაზეთის საშუალებით, რომ, თუ იგი ფიქრობს, საზოგადო მოღვაწე, მხოლოდ ისაა, ვინც ურჩევს დამშეულ ხალხს, ფული შეკრიბეთ, მომიტანეთ, წავალ სიმინდს გიყიდით, ჩამოვიტან და მემრე იაფ-ფასებში დაგირიგებთო. დამშეული ხალხის ფულით სიმინდს იყიდის, მაგრამ იმათ კი არ ურიგებს, ვინც ვაი ვაგლახით ფული შეიტანა სიმინდის საყიდლად, არამედ იქვე მიჰყიდის სპეკულიანტებს მოგებას ჯიბეში იდებს და დიდის ხნის შემდეგ შეტანილს ფულს ხალხს გადაუგდებს საყვედურით: ვერ ვიშოვე სიმინდი, შე[illegible]
ლოთო და რომ აიცილოს ასეთმა პირმა სიმშილისაგან გაავეთრებულ ხალხის შურისძიება, თრითინასავით იმალება სოროებში და გაურბის იმ ადგილს, სადაც ამისთანა ბოროტება ჩაიდინა. თუ ამისთანა მოღვაწე ჰყავს ბ. ჭავჭანიძეს სახეში, იგი მართალია, მე არა ვარ საზოგადო მოღვაწე.

ან, იქნება, ბ. ჭავჭანიძეს საზოგადო მოღვაწეთ მიაჩნია ისეთი პირი, რომელიც საზოგადო სავაჭრო სახლს, რომელიც მას ქონდა მინდობილი, სამსახურიდან გასვლისას, გაქურდავს და რომ თვალი აუხვიოს ხალხს, სახურავს აძრობს სავაჭრო სახლს, ვითომ ქურდები ზევიდან ჩამოვიდენ ნამდვილად კი კარებიდან გაიტანენ, შაქარს ნავთს და სხ. თუ ასეთი პირი ჰყავს ბ. ჭავჭანიძეს სახეში, იგი მართალია, მე არა ვარ საზოგადო მოღვაწე.

შეიძლება ივ. ჭავჭანიძეს სახეში ჰყავს სხვა გვარი ტიპის საზოგადო მოღვაწე, აი თუ გინდ, ისეთი, რომელმაც საზოგადო ფული შეიტანა ფრიად საჭირო დაწესებულების სასარგებლოთ, რომ მერმე იგი, სამაგიეროდ, შეეტანათ სიაში, რომ ამოერჩიათ წევრად ისეთი დაწესებულებისა, საიდანაც შეიძლებოდა მთელი საზოგადოებისთვის ფურთხი გადესროლა და იმ დაწესებულების საშუალებით თავის პირადი მტრები ეძებნა და იგინი საპყრობილეში ეგზავნა. თუ ასეთი პირი მიაჩნია ბ. ჭავჭანიძეს საზოგადო მოღვაწეთ, იგი კიდევ მართალია,—მე არა ვარ საზოგადო მოღვაწე.

ჯერ-ჯერობით ეს მინდოდა მეთქვა ჭავჭანიძისთვის.

თუ ვინ არის ხალხის ნამდვილი არჩეული, ამის თქმა ჯერ ნაადრევია. როდესაც ხალხს მიეცემა ნება თვითონ დაასახელოს თავის წარმომადგენლები, რომელთაც ესმით მისი მაჯის ცემა და გულის ნადები და ამისთვის საქართველო დაყოფილი იქნება საარჩევანო ოლქებათ, რომ ყოველ ოლქს მიეცეს საშუალება გამოგზავნოს თავისი წარმომადგენელი, მაშინ, მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას რომ ესა თუ ის წარმომადგენელი ნამდვილად ამორჩეულია ხალხისგან, მაგრამ მაშინ ჭავჭანიძისთანა ჩიტირეკია დეპუტატს ადგილი არ ექნება ხალხის წარმომადგენლობაში.

ლ. ბახტაძე.

# მეფე ერეკლე

(124 წლის შესრულების გამო კრწანისის ბრძოლის შემდეგ).

ჯერ სამაგისო რა გვემართება.
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?
ნიკო ბარათაშვილი.

გვირგვინი მუდამ სატრფიალო საგანი ყოფილა. მის დასაჩემებლად უბრძოლიათ დიდებულთაც და მცირებულთაც. ვისაც გვირგვინი ჰხვედრია, ძლიერად დაჰბღაუჭებია. ეს გასაკვირიც არ არის. მეფის ცნებას ძველი დროითგანვე შეეთვისა მნიშვნელობა წინამძღოლობისა, ღვდელ-მთავრობისა, წინასწარმეტყველობისა და, წარმოიდგინეთ, ღმერთობისაც-კი; ჟამთა განმავლობაში ხალხს რწმენად გადაექცა,—მეფე ღვთისაგან არისო და მისვე ქვეყნიური სახეა ანუ, რუსთაველის სიტყვით რომ ვთქვათ, „მისგან (=ღვთისგან) არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. ამ რწმენას ძალით ბაგრატიონები თავიანთ მისხს, ჩამომავლობას მიუწევდნენ თვით ღვთის მშობლამდე.

დიდობა და, თუ შეიძლებოდა, „ღმერთობაც“ პატივმოყვარეთა ოცნება ყოფილა მუდამ. მართლაც, ქვეყანაზე რამდენი ფუყეთავიანია, რომელიც ეტენება ყველგან, რომ, რა არის, იცნონ იგი დიდ ვინმედ! მრავალ მეფეს დიდებასთან ერთად ჰქონდა გვირგვინიც, მაგრამ მათგან უფროს ერთმა არ იცოდა, რომ ეს გვირგვინი პირველს ყოვლისა, ეკუთვნოდა არა მათ, არამედ ერს. მათ შეეძლოთ თავიანთ თავიდამ აეხადათ გვირგვინი, მაგრამ ნება არ ჰქონდათ გაებოძებინათ იგი სხულ გარეშეთათვის, ვინაიდგან გვირგვინი, საზოგადოდ, ეროვნული თავისუფლების ჯამოსახულობაა და არა ვისიმე კერძო კუთვნილება.

რუსეთის მეფე თეოდორეს ვერც კი წარმოედგინა, რომ სადმე იქნებოდა ხელმწიფე, რომელიც თავის ქვეყანასა და გვირგვინს გაიმეტებდა სხვისთვის. ბორის გოდუნოვმა რომ წარუდგინა ქაღალდი „ივერიელთა მეფე თავის ქვეყნითურთ დამხედ თავს გიკრავსო და ქვეშევრდომობას აღგითქვამსო, თეოდორემ გაიკვირა და წამოიძახა:*) „ვოტ ჩუდაკ!“ ო.

ამ ცუნდრუკად ხსენებულ მეფედ მაშინ იყო ლუარსაბი. იგი მართლაც ივერიას კი არ განაგებდა, არამედ მხოლოდ მტკვრის ნაპირებს სურამიდამ თბილისამდე, ხოლო მის აქეთ იქითი ეპყრათ ძრიელ მფლობელებს —ქსნისა და არაგვის ერისთავებს, მერე მაჩაბლებს, ციციშვილებს, ამილახვრებს, ორბელიშვილებს, ბარათაშვილ-ორბელიანებს და სხ., დანარჩენ ნაწილებშიაც, როგორც მოგეხსენებათ, თავთავიანთი გამგებლები ჰყავნდით: კახეთსა და იმერეთში—მეფეები, ხოლო მთავრები რაჭას, სვანეთს, სამეგრელოს, აფხაზეთს, გურიას, მესხეთს, საინგილოს.

ასეთ სუსტ ლუარსაბ მეფეს, რომელსაც ამასთანავე ავიწროებდა ირანის ლომი შაი აბაზი, კიდევ ესამართლებოდა, რომ ძლიერ შემწეს ეძებდა მოსკოვში, ხოლო საამისო რა სჭირდა ერეკლეს?

მას ხომ უკვე გაეერთებინა ქართლ-კახეთი, დაეხარკა ერევანი და განჯა, გაეფართოებინა ქვეყანა თითქმის ყარსამდე, თვით იმერეთშიაც გადაეტანა თავისი რიხი და იქ გაემეფებინა თვისი შვილიშვილი არჩილის ძე სოლომონ მეორე.

მას ხომ იმერეთიდამ მოსდიოდა ელჩები იხვეწნით—გვიწინამძღვრე და მთელი ივერია გავაერთიანოთო.

მან ხომ ოქრო-ვერცხლის მადანიც გამოაჩინა და გააძლიერა ხაზინა, გამართა სკოლები, სემინარია და ხელი მიჰყო ევროპიული განათლება შეეცა ხალხისთვის.

თვით მისი სახელიც ხომ ჰქუხდა არა მარტო კავკასიაში, არამედ პეტერბურგ-ბერლინ-პარიჟ-ვენა-სტამბოლ-თეირანს და თვით შორეულ ინდოეთამდეც კი.

განა იგი თვითონ არ იყო გმირი ასპინძისა, ხარგვირაბისა, ერევნისა, განჯისა, ინდოეთის დიდი მოგოლის სატახტო ქალაქის დელის აღებისა?

განა მას არ ახსოვდა, რომ მრავალი მოწყალება მოსდიოდა ყაენისაგან და ბოლოს ხომ მის მიერ ქართლის მეფედაც დამტკიცდა, თუმცა ეს სამეფო ტახტი ეკუთვნოდათ რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებს.

განა იგი არ იყო, რომ მიუვიდა საჩუქრები მეგობრობის შემოთვლით ხანებისაგან თავრიზისა, ხოისა, ურუმისა, მაყაყისა, მარაღისა, ბაიაზეთის ფაშისა, ხოლო იმავე დროს ყმად მოეცა შამშადინ ალა-ქურთი, კაცი ძლიერი და მრავალთა ქურთთა მეპატრონე, მოეცა ყმად აგრეთვე შორაგელის სულთანი თავის ხალხითურთ. თვით ერანელნიც ხომ ელოდნენ, ერეკლე გახელმწიფდება და ერანის ნაწილებსაც დაიჭერსო, რადგან „ჰქონდათ მისი ცნობა ნადირშაჰიდან მყოფელობითა, ესმოდათ მარადის სიმხნე მისი, ვერ ჰრავის ჰხედვიდნენ მოპირდაპირედ მისა (ერეკლე მეფისა), ამისთვის დიდად ჰფიქრობდნენ და და ყოველთვის ელოდდნენ, რომ ერანისკენ წამოვაო“. ყაენი ქარიმხანი ხომ ცალკე წერილით უცხადებდა მას სიყვარულსა და მეგობრობას, თვით აღამაჰმად-ხანიც კი, როგორც დავინახავთ ქვემო, სამეგობროდ და საზავოდ იწვევდა მას, ერეკლეს.

თვით ხონთქარიც პატივით ეპყრობოდა ერეკლეს, მისი გმირულ ნამოქმედარის ცნობა მისდიოდა, ხშირად მეფურ ძღვნით იკითხავდა და მასთან მშვიდობა სწადდა.

ეს ყველა ასე იყო და თვითონ ერეკლემაც ყოველი ეს კარგად უწყოდა. მაშ რაღად მიჰყვებოდა ზემოხსენებულ ლუარსაბ მეფის კვალს, რად იცვლიდა უმანდელ ორიენტაციას? განა ერეკლემ არ იცოდა, რომ ამ უმანდელ ორიენტაციის გამოცვლით მარტო უბედურება ეწიათ მის წინაპრებს; ხსენებულ „ჩუდაკ“ ლუარსაბს, მის სიძე თეიმურაზს, კვლავ გიორგის, თვით მის პაპას ვახტანგ 4-ს და სხ. ორიენტაციის გამოცვლით ანუ რუსებთან საქმის დაჭერით გააბრაზეს ცალკე ყაენი, ცალკე ხონთქარი, ცალკე ლეკები; ყველა ესენი მტრად გადაიკიდეს მაშინ, როდესაც იგინი მოითხოვდნენ, დარჩით ძველებურად, დარიალი შეკარით და ვიცხოვროთო მეგობრულად, მეზობლურად.

ეს ყველა იცოდა ერეკლემ, მაგრამ არ წუნარდებოდა ანუ, უკეთ ვთქვათ, არ აწუნარებდნენ ახალი ჩრდილოელი „მეგობრები“.

1770 წელს იგი მოიმხრეს რუსებმა საომრად ოსმალეთთან დარიალით შემოუშვა ტოტლებენი და ერთად გაილაშქრეს ასპინძას. ბრძოლის დაწყების წინად ტოტლებენი თავის ჯარით გაბრუნდა. ერეკლემ გაიმარჯვა, მაგრამ მიერიდგან მოსისხლე მტრად გადიკიდა ახალციხის ფაშა.

1771 წელს ერეკლეს კარზე მყოფ ლვოვმა წააქეზა მეფე ეშლოდა ოსმალეთს და დაერბია ხერთვისი. „ეს საქმე კმა არსო, ეუბნებოდა იგივე ლვოვი მეფეს, რუსეთის ხელმწიფის ერთგულებადო (ომან ხერხ. 593). ერეკლემ დაუჯერა, აიკლო, მაგრამ „სამაგიეროდ ხერთვისისა გამოუხთა ახალციხის ფაშამ ოსმალისა და ლეკის ჯარი ქართლის დასარბევად“ (იქვე).

1772 წელს კვლავ შეუჩნდა მეფეს ლვოვი და უთხრა: „ერთხელ კიდევ დაჰკარ ხონთქრის მამულსა, რომ შენს ერთგულებაზედ გული დაიჯეროსო ეკატერინამ“ (იქვე). ერეკლემაც დაჰკრა.

გაიგო ხონთქარმა. განძვინდა ერეკლეზე. დიდძალი ლაშქარი დაღისტნელებითურთ შემოუსია საქართველოს. ამავე დროს რუსის ლაშქარი, შველის მაგიერ, საქართველოდამ გავიდა.

ერეკლეს ჩამოსაგდებად ტახტიდამ საქმეს აწყობდნენ რუსეთში შემწეობით ალექსანდრე ბაქარისძისა და ალ. ამილახვრისა. იგინი მოიყვანეს დაღისტანს, რომ მიიმხრონ შამხალი, უცმი და სხ. ერეკლეზე დასაცემად. ჯერ ამას წინად ამავე შეთქმულთა წევრნი ჩამოვიდნენ პეტრეს ქალაქიდამ თბილისს, მაგრამ იგინი შეიპყრეს და ამოწყვიტეს (ქ. ცხ. 506).

ერეკლე ყველა ამას თვალნათლივ ხედავდა და მოკავშირეს ეძებდა ევროპაში. ამ აზრით ორი წერილი გაუგზავნა გერმანიის იმპერატორს იოსებს (1781 სა და 1782 წლებში); თან ჰპირდებოდა, თუ ომი მოგიხდა ოსმალეთთან, მე დაგეხმარებიო. კიდრე იქიდამ პასუხი მოვიდოდა, მოახწია 1783 წელმა. ერეკლემ ხელი მოაწერა ცნობილ ტრაქტატზე. ამან მოახდინა უზომო შთაბეჭდილება აღმოსავლეთში. უმეტესად განძვინდნენ ხონთქარი და ყაენი, „სცნეს-რა ირაკლისაგან რუსეთის იმპერიის საფარველსა ქვეშე შესვლა“. (ქ. ცხ., 444; მასალები საქ. ისტ., 29; ბუტკოვი, II, 177).

ბუტკოვი (2—17): „ფაშები აზრუმისა, კარისა, ბაიაზეთისა და ვანისა ერეკლეს ეპყრობოდნენ მეგობრულად, თავაზიანად და კეთილი მეზობლობა ჰქონდათ საქართველოსთან ვიდრე რუსთა ჯარის შემოსვლამდე. ამის შემდეგ კი ყველანი გადაეკიდნენ. ახალციხის ფაშა სულეიმანი დაუძინებელ მტრად გადაეკიდა ერეკლეს. მან მიიბირა დაღისტნის ომარხანი, შეეზრახა განჯელებს და გადასწყვიტა ერთბაშად ყოვლის მხრივ შემოსეოდნენ საქართველოს და დაეპყრათ იგი... ომარხანმა 20000 მეომრით კიდეც გადაიარა კახეთზე და შეუერთდა (1785 წ.) ახალციხის ფაშას. საქართველო ალბად აკლებულ იქნებოდა, რომ ახალციხის ფაშას არ მიეღო ხონთქრის ბრძანება, ნუ გაილაშქრებთო საქართველოზე: „ოდეს ხარი (ერეკლე მეფე) წევს, ნურას ერჩით და ნუ აიძულებთ ფეხზე წამოდგესო“. ომარხანიც შეურიგდა და დაღისტანს დაბრუნდა (1787 წ.).

რუსები—კი 1783 წლის ტრაქტატის შემდეგაც ჯარს არ უგზავნიდნენ ან ძალიან ძუნწად. ასე იმიტომ იქცეოდენ, საფიქრებელია, ერეკლე მეტს გაჭირებაში ჩავარდნილიყო და ქვეყანა თვითონვე დაეთმო რუსეთისთვის. ამ მოსაზრებას ნათელს ჰფენს, როგორც ლუდოვიჩის საქციელი ერეკლე-აღამაჰმადხანის ბრძოლის საქმეში, ისე პოტემკინის ჩამოსვლა თბილისს 1783 წელს. იგი ეუბნებოდა მეფე ერეკლეს—ნება დაგვრთე ვმართოთ საქართველო „რუსთამებრ წესით, ხოლო შენ გქონდესო კახეთი თავისუფალი და ჯამაგირი ეგოდენი, რაოდენიც შემოგდიოდაო ქართლიდამ“ (მასალ. 30). ერეკლემ უარი უთხრა.

1791 წელს გამეფდა აღამაჰმადხანი, მოვიდა ადირბეჟანს და „აბირა მეფისა ირაკლის მეგობრობასა ზედა წარვიდა“ (მასალ. 41).

1795 წელს აღამაჰმადხან მოადგა შუშას. იულონ და ალექსანდრე ირაკლისძეებმა იმავე ხანებში „მოაოხრესო განჯა, რომლის ხანი ჯავად წაკიდა შუშას და შესჩივლა ყაენს. იგი დიდის ლაშქრით თბილისზე წამოვიდა. ერეკლე დაფაცურდა. ითხოვა რუსის ჯარი ტრაქტატის ძალით, მაგრამ მრავითა რი შველა არ მოუვიდა. ავალაპარაკოთ თანამედროვე (მასალ. 45):

„უწინარეს მოსვლისა თხოვა შეწევნა კავკასიისა ლინიის მთავარს ღრაფ ლუდოვიჩსა ტრაქტატისამებრ ძალითა, რომელიც რუსთა აღუთქვათ პირობის წიგნსა შინა: უკე თუ მტერ ძლიერ მოვიდეს, შემწე იყოს ლინიის მთავარი მეფესა. რომელსაცა არა ენება მოცემა და არცა მოსცა მეფესა შეწევნა ამისთვის, რომელ ხოჯა (აღამაჰმად-ხან) უქლიანებდის ფეშ-ქაშსა და ნივთსა მრავალსა, რათა არა შემწე ექმნას მათ იგი და მეფესა არწმუნებდის ღრაფი შეწევნასა. რომელიცა ატყუა და ესრეთ შეემთხვა მეფისა“.

10 ენკ. 1795 წელს ყაენმა აიკლო და დაარბია თბილისი.

ასრე წახდა სატახტო ქალაქი. მაგრამ ყაენს მაინც მეგობრობა უნდოდა მეფისა. სოღანლუღიდამ შემოუთვალა: „დამზავდი, ყოველს ნატყვენავს დაგიბრუნებო“. მაგრამ არ ინდომა, და ამიტომაო, სწერს თანამედროვე: „ვინაიდგან ხოჯა იყო მცბიერი და დაუნდობელი, ამად ვერ ენდო მეფე მას და კვალად ადრიდანვეცა შესრულ იყო მეფე საფარველსა როსსიისასა და ეფუცაცა ერთგულებასა ზედა როსსიისასა, ამად არა იქნება შეერთება სპარსთა თანა“ (მასალ. 45).

მეფეს ყველგან ატყუებდნენ ახალი „მეგობრები“ და ის კი თვითონვე ხელს უწყობდა მატყუარებს, რომ კვლავ ეტყუათ ქვეყნის სავალალოდ, დასაშლელად, მოსასპობად.

ამ გვარივე დამღუპველი იყო ერეკლეს შემდეგი მოქმედებანიც:

მან შესცვალა უმანდელი წესი მეფობისა არა მამით შვილზე, როგორც მრავალს საუკუნეს იყო, არამედ უფროს-უმცროსობაზე მორიგეობით.

ამას გამოიწვია საშინელი შუღლი და ქვეყანა გაყო ორ ბანაკად—გიორგისა ერთის მხრივ და დარეჯან დედოფლისა და მის შვილებისა მეორე მხრივ.

მან შვილებს გაულო საუფლისწულოები, ზოგს მისცა არაგვის ხეობა, ზოგს-გორი, სურამი, ქიზიყი, ზოგს ბორჩალო და სხ. ყოველი მათგანი თავისთვის თითქმის დამოუკიდებელ თვითმპყრობელად სთვლიდა. წინანდელ ერისთავების მაგიერ ყველგან წამოსკუპდნენ პატარ-პატარა მთავრები, ისიც ერთურთის მოძულენი და ამან წინანდელზე მეტად დაასუსტა ქვეყნის ერთეული.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ჩვენ შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ გმირი მეფე ერეკლე ფრიად წინდაუხედავი და შორს განუჭვრეტელი ხელმწიფე იყო. აი ამის შესამოწმებელი მოკლე ნუსხა.

ა. მეფობის უმანდელ წესის შეცვლით ჩამოვარდა ძმათა შორისი შუღლი და გამთიშველი ცილობა.

ბ. ივერიის გაერთიანება ვერ მოხერხდა, რადგან ირაკლიმ და დარეჯანმა არ ისურვეს იმერეთის ტახტი გამოეწირათ თავიანთ შვილიშვილისთვის*).

გ. საუფლისწულოების გაღებით დაიშალა ქვეყნის სიმტკიცე. თანამედროვე ამბობს (მასალ. 42):

„წელსა ამას (1772) ერეკლემ გაწუყვნა მამულნი ძეთა თვისთა: თვითეულსა მისცა ა-ას-ათასი კომლი ქართლსა და კახეთში, ხოლო უფროსსა ძესა გიორგის—ოთხი ათასი კომლი“. ამის შემდეგ იგივე დაუმატებს ამ სიტყვებს. „განყოფა ესე იქმნა მიზეზ დაჰხობისა სამეფოისა სახლისა“ (მას. 42).

დ. 1783 ტრაქტატის დადებით საქართველოს გადაეკიდა მაჰმადიანობა აზიისა.

ე. აღამაჰმადხანის მეგობრულად გამოწვდილ ხელის უკუგდებამ და აგრეთვე ორიენტაციის შეცვლამ გამოიწვია თბილისის დარბევა 1795 წელს. ამ გაჭირების დღეს შვილებმა მამა მეფეს ისე მცირე შემწეობა აღმოუჩინეს, რომ სათქმელადაც არა ღირს. ზოგიერთმა კი ხომ ფეხიც არ მოიცვალეს თავის ბინიდამ. მეფემ ამ მოღალატე შვილების წინააღმდეგ არავითარი ზომა არ მიიღო.

ჩვენის მოსაზრებით, ერეკლეს ორიენტაციის შეცვლაზე კი არ უნდა ეზრუნა. არამედ მის გამომწვევ მიზეზზე მის მოსპობაზე. საჭირო იყო ცდილიყო განეხორციელებინა გაერთიანება ივერიისა, აღედგინა უმანდელი წესი მეფობისა, 1783 წლის ტრაქტატი უარეყო, რადგან მეორე მხარე მას სავსებით არ ასრულებდა, ყაენსა და სხვა მეზობლებთან ეცხოვრა მეგობრულად, საუფლისწულოები მოეშალა, ბატონიშვილები და ფეოდალები აელაგმა, პარლამენტობა მოესპო, მორიგე ჯარი, რომელიც თვითონვე გააწყო და რომელიც მერე დაიშალა უყურადღებობის გამო, კვლავ გაეწყო და გაეძლიერებინა.

რახან არც ერთი ეს არ მოიმოქმედა და ისე გარდაიცვალა, რომ შვილებიც-კი ვერ შეარიგა, ამან გამოიწვია უდრესი რყევა და შფოთი, მტრობა შინაგან და გარეგან, ხოლო ამ მიზეზებმა გამოიწვიეს სამეფოს თავისუფლების დაკარგვა.

ერეკლეს და მის დროის კაცებს იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთთან შეერთებით აყვავდება მართლ-მადიდებლობა, თბილისი ახალ ათინად იქცევა, ქართული სული ენითურთ ვარდისფრად გაიფურჩქნება, ქართული კანონები და ადათები შეურყვნელად დაცული იქნებიან, ქართული ფული არ მოისპობა, საქართველო აღდგენილ იქნება უმანდელ მიჯნებში, ქართველ ტომის თავისუფალი განვითარება არ დაბრკოლდება არა რით.

როგორც ყველამ ვუწყით, ერეკლეს ყოველი მოლოდინი სინამდვილეში ჩაიშალა: მართლ-მადიდებლობა ურწმუნოებამდე დავარდა, თბილისი ათინად ვერ იქცა, ქართული სული კინაღამ განქარვების საზღვრამდე მივიდა, ქართული ტკბილი და სიყვარულის ენა შეიბღალა და სხვა და სხვა უმსგავს ნართაულებით სახსენებელი შეიქმნა, ქართული კანონები და ფული მოისპო, საქართველო აღდგენის მაგიერ ღირსა მის უკეთეს ნაწილების გაყიდვას ან მკვიდრ ქართველთა გასახლებას და უცხოთა ჩამოსახლებას, ქართველ ტომის თავისუფალ განვითარებას მოაყოლეს მისი გადაგვარების მანქანება.

სიტყვით, ჩვენზე ასრულდა ბიბლიური თქმულება: „მამათა შჭამეს კაწახი, შვილთ მოაჰრა კბილები“.

მ. ჯანაშვილი.

*) ა. ტოლსტოი. მეფე თეოდორე იოანნოვიჩი. ტრაღ. 5 მოქმ., გვ. 243.

*) 1790 წელს საქართველოს მეფემთავრებმა დასდეს ხელშეკრულობა და და აითქვეს მტკიცე ერთობა, მაგრამ ეს ხელშეკრულობა მარტო ქაღალდზე დარჩა და არ განხორციელებულა. მხოლოდ იმერეთის ტახტზე ერეკლემ დასო თვისი შვილის-შვილის ელენეს ნაშობი დავითი (სოლომონ II).

## ქართული წიგნის გამომცემლობა

ქუთაისის მთავრიშვილის ამხ. წიგნის გამომცემლობას ამ უკანასკნელ დროში თავისი მუშაობა მეტად გაუფართოვებია. ამ ჟამად გამომცემლობის მუშაობას აბრკოლებს მხოლოდ ტეხნიკური დაბრკოლებანი—ქაღალდის უქონლობა და სხ. ამხანაგობას გამოცემული აქვს მრავალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები სულ გამომცემლობას გამოუცია შემდეგი წიგნები:

1. გუთანი (ორი გამოცემა) ოცხელის, მთავრ. და ყიფიანი.
2. ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა.
3. არქიმანდრიტ ნესტორ პირველ. დაწყ. სწავლა სალვთო სჯულისა.
4. ს. ქვარიანი, საქართველოს ისტორია.
5. ს. რობაქიძე, სამშობლოს აღწერა.
6. ხახანაშვილი, ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე II გამოცემა.
7. კ. აბაშიძე, ეტიუდები ტ. I.
8. ტომი II.
9. ს. დათეშიძე, ქართული წერის დედანი.
10. შექსპირი, ოტელო, ჰამლეტი და მეფე ცამბელინი II გამ.
11. ნ. ნიკოლაძე მამულის სიყვარული და მსახურება.
12. დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი.
13. მღ. პლ. ცქიტიშვილი ლოცვანი პირ. გამოცემა.
14. სამ. ყიფიანი, შაქარას ნაამბობი.
15. ნ. ყუბანეიშვილი.
16 ს. გორგაძე, საქართველოს ისტორია.
17. А. Гарсеванишвили Поэтъ Грузіи Акакій.
18. К. Д. Мачаваріани Цѣлебные минеральн. источ. Кут. губ.
19. ს. გორგაძე, ჩვენი ძველი მწერლობა ხალხური პოეზია.
20 მისივე ქართული მართლწერა.
21. მატაველი. შურის ძიება, თარ. ტ. მამალაძის.
22. კარგარეთელი. ხელთა ანუ საალდგომო ქორონიკ.
23. ვ. წერეთელი, ქართული სამეცნიერო და საფილოსოფიო ტერმინოლ.
24. დ. უზნაძე, მსოფლიო ისტორია. ძველი აღ. და პირველყოფ. კულტ. პირ. გამოცემა.
25. ს. გორგაძე, ჩვენი ახალი მწერლობა, წიგნი I, პირ. გამ.
26. ვ. ყიფიანი, პირველდაწყებითი ალგებრა.
27. ია ეკალაძე, საყმაწვილო მოთხრობები.
28. იაკობ ხუცესი, წამება წმ. შუშანიკისა ს. გორგაძის რედაქ.
29. ზაალიშვილი. ბუნების მეტყველება. არაორგ. ბუნება, პირ. გამ.
30. ალ. ჭეიშაძე, პირველდაწყებითი გეოგრაფია.
31. ტ. მამალაძე, სამშობლო სურათები. I.
32. გომელაური, მოსწავლის ჰიგიენა.
33. ივ. ვართაგავა, შინ მლვიმელი და ბაღშვთა სამყარო
34. ზაალიშვილი, ანატომია და ფიზიოლოგია.
35. დ. უზნაძე, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფ. კულტურა.
36. ტ. მამალაძე, Правила упрощ. правописанія.
37. ზაალიშვილი, ზოოლოგიის სახელმძღვანელო.
38. პროფ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია.
38. ზაალიშვილი, არა ორგანული ბუნება II გამოც.
40. დ. ნაზაროვი, ერობა კავკასიაში.
41. ნ. ჟორჟიკია, სახელმწიფოებ. დეცენტრალიზაცია.
42. ს. გორგაძე, ჩვენი ძველი მწერლობა და სალხ. პოეზია.
43. ტ. მამალაძე, სამშობლო სურათები II.
44. ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია.
45. დეკ. მ. კელენჯერიძე, ქართ. საეკ. ისტორია.
46. რუსთაველი, ვეფხვის ტყაოსანი.
47. ზაალიშვილი, ბოტანიკა.
48. მღ. პლ. ცქიტიშვილი, ლოცვანი II გამოც.
49. პროფ. ვულფიუსი საშუალო ისტორიის სახელმძღ.
50. ი. ფერაძე, საქართველოს ისტორია.
51. პროფ. კუკულესკო, ქიმიის სახელმძღვანელო.
52. ს. გორგაძე. ჩვენი ახალი მწერლობა II გამოც.
53. ზაალიშვილი, არითმეტიკის სახელმძღვანელო.
54. მისივე პირველდაწყებითი გეოგრაფია და სამშობლოს აღწერა.
55. ი. ფერაძე, გ. ერისთავი, ისტორ. ლიტერატ. მონოგრაფ.
56. ტ. მამალაძე, სამშობლო სურათები III გამოც.
57. ნ. ჭეიშვილი, რუსეთის პოლიტიკა და სოლომონ II.
58 ს. გორგაძე, ჩვენი ახალი მწერლობა წ. II.
59. გორთამაშვილი, მებაღეობა, მოკლე სახელმძღვანელო.
60. ექ. ევს. ლოსაბერიძე, ფიზიოლოგია და ანატომია ჰიგიენით.
61. აკ. წერეთელი, თორნიკე ერისთავი ისტორ. პოემა.


დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად
ქუთაისში: მთავრიშვილის მაღაზიაში.
თბილისში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში.

ქართული წერის დედანი
ს. დათეშიძისა
2595 12—3


## მიმოსვლა

### სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ.

**გადის თბილისიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | საღ. | 8 ს. 7 წ. |
| ბათომში | № 5 | საღ. | 5 ს. 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. — |
| ფოთიდან | № 4 | საღ. | 8 ს. 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. 06 წ. |

**თბილისი-სალოღლო**

**გადის სალოღლოში**

| | | |
|---|---|---|
| № 8 | საღამოს | 6 ს. 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. 50 წ. |

**მოდის სალოღლოდან.**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. 52 წ. |

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.**

**გადის**

| | | |
|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. 26 წ. |

**მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. 24 წ. |
| № 64 | საღ. | 8 ს. 4 წ. |

**თბილისი-ხანაინ**

**გადის:**

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

**მოდის:**

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 50 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო ისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.


დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
სულხანდარიშვილი
ყოფილი უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3., ტელეფონის № 17—21.

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდიევი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. 1-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეზხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ცუცქერიძის...
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
ვ. ვ. მებრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სარენტგენო და სხივების ფოტოთი ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—1 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ხარკოვის ქალთა კლინიკის ექიმი
ალექსანდრე დავითის ძის
მეველიანი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.